ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

**ტრაგედია თუშეთის გზაზე სატვირთო მანქანა მგზავრებიანად ხევში გადავარდა**



დაღუპულია 6 ადამიანი

გვ.7

**19 ივლისიდან**

რევაზ მიშველაძე

**ციყვი ბორბალში**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ორშაბათი, 29 ივლისი, 2019 №177 (8131) ფასი: 60 თეთრი

# გურამ ჩალაგაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი ციხეში რუსთავი 2-ის გამოა“

გვ.2



„პოლიტიკური დაჭერები გაგრძელდება“



გვ.4



## რისთვის ემზადება ივანიშვილი

ჯელალ ქიქავა: „შეკვეთილის რეზიდენციას ავტომატიანი პირები იცავენ“



## მოსკოვთან მოლაპარაკებების დაწყების მოთხოვნით პატრიოტთა ალიანსმა აქცია გამართა

გვ.5



გვ.3



## თამარ ჩხეიძე: „დიქტატურა აქტიურ ფაზაში შევიდა“

**სამართალი** გვ.7





**„ინსტინქტურად ჩავარტყი დანა ყელის არეში“**

გიორგი ხანდოლიშვილს სვეტა ამოევას მკვლელობისთვის 14 წელი მიესაჯა



**რომან კაკულია: „ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეში დანაშაულს ვხედავ“**

**ურეკში მშენებარე სასტუმროდან 2 მუშა გადმოვარდა**

1 ადგილზე დაიღუპა

**ეკონომიკა** გვ.6

**ლარის გაუფასურების ქრონიკა 2019 წელს — 20 ივნისამდე და მას შემდეგ**





**ქობულიას მტკიცებით, ანაკლიის პორტის კომერციული მომგებიანობის ანალიზი არ არსებობს**

ომეგა OMEGA

**OMEGA ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს პასუხობს**

**გიორგი ქადაგიძე: „შეუძლებელია, თავისუფლების იდეა დამარცხდეს“**



ISSN 1987-9385

3 **პაატა დავითაია: „სოხუმისთვის საერთაშორისო კოდის მინიჭების საკითხი რუსეთთან გარიგება მოხდა“**

2 **მიხეილ სააკაშვილი: „ის, ვინც მე და ივანიშვილს შორის ტოლობის ნიშანს აყენებს, ერთუჯრედიანია“**

7 **საბერძნეთის ციხეში რუსმა პატიმარმა ქართველი პატიმარი ცემით მოკლა**

8 **მოსკოვში ხელისუფლებამ ოპოზიციის აქცია სასტიკად დაარბია**

# გურამ ჩალაგაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილი ციხეში რუსთავი 2-ის გამოა“

## „პოლიტიკური დაჭერები გაგრძელდება“

იაგო ნაცვლიშვილი

„გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერ ირაკლი ოქრუაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. ეს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ 27 ივლისს მიიღო, იქამდე კი მოსამართლემ სხდომა დახურა. საქმის არსებითი განხილვა 19 სექტემბრიდან დაიწყება. ოქრუაშვილი ციხეში ოფიციალურად 20 ივნისის მოვლენების გამოა.

როგორ აფასებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და მოქმედების რა გეგმაზე გადადიან? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ირაკლი ოქრუაშვილის თანაგუნდელი, მოძრაობა „გამარჯვებული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩალაგაშვილი საუბრობს.

***– ოქრუაშვილის დაპატიმრება პირადად ივანიშვილს დაუკავშირეთ. რის მიღწევა სურს ივანიშვილს?***

– სასამართლოს გადაწყვეტილება იმის ნამდვილი მაგალითია, რომ ქვეყანაში არის დიქტატურა. ბიძინა ივანიშვილი სრულ აგონიაშია და შეშინებულია. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მეტოქე – ოპონენტი პარტიის ლიდერი გაანეიტრალა და გადავიდა რეპრესიებზე.

ის შეეცდება, სრულად დაემსგავსოს პუტინის რუსეთს, სადაც ოპოზიციური ძალების ლიდერებს ყოველდღიურად იჭერენ, რომ როგორმე ხალხის მღელვარება ჩააცხრონ. მათი უბედურება ის არის, რომ ვერ სწავლობენ ვერც სხვის და ვერც საკუთარ მაგალითზე. თუ ერთ ადამიანს მაინც უმუშავებს თავი და ტვინი აქვს „ქართულ ოცნებაში“, მიხვდებიან, რომ ოპოზიციური ლიდერების დაპატიმრებით ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ რეიტინგს ავნებენ და პოლიტიკურ სანაგვეზე წავლენ.

***– მსგავსება დაინახეთ იმ მოვლენებთან, რაც 27 ივლისს ვნახეთ მოსკოვში და რაც ხდება საქართველოში?***

– რა თქმა უნდა, დავინახე. ეს იყო იმის ნიშანი, რომ თვით რუსეთშიც კი, სადაც პუტინი ყველას აკონტროლებდა, უკვე პროტესტი გამოვიდა გარეთ. ვერც პუტინს და ვერც ივანიშვილს ვერ გაუვათ თავიანთი და სულ მალე წავლენ იქ, სადაც არის მათი ადგილი.

***– მოლოდინი გაქვთ, რომ დაჭერები გაგრძელდება და ოპოზიციის სხვა ლიდერებსაც დაიჭერენ?***

– რა თქმა უნდა. სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ეს ყველაფერი, მაშინ, როდესაც ირაკლი ოქრუაშვილის დაჭერამდე ცოტა ხნით ადრე დაიჭირეს მისი დაცვის უფროსი კობა კოშაძე, რომელსაც იარაღი ჩაუდეს და ამით ირაკლი ოქრუაშვილის გაჩერებას შეეცადნენ, მაგრამ ის ვერ შეაშინეს და ვერ გააჩერეს. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ირაკლი უნდა დაეჭირათ.

ამით ფიქრობენ, რომ ჩვენ – მის მეგობრებსა და თანაგუნდელებს – გაგვაჩერებენ და ამით გააჩერებენ სხვა ოპოზიციურ ძალებს, რეალურ ოპოზიციაზე მაქვს საუბარი და არა – ფსევდოოპოზიციაზე, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ეს არ გამოუვა და ჩვენ გაერთიანებული ძალებით ვიბრძოლებთ ამ ტირანისა და დესპოტის წინააღმდეგ.



***– წინა ინტერვიუში მითხარით, რომ ივანიშვილისგან გზავნილი მიიღეთ პარტიაში, რომ ოქრუაშვილი არ ჩამოსულიყო საქართველოში. ამის შემდეგაც ხომ არ მიგიღიათ რამე გზავნილი, რომ რაღაცნაირად გაეჩუმებინეთ?***

– მე გითხარით მაშინ, რომ თავად ვესაუბრე ოქრუაშვილს, რომელმაც მითხრა, რომ ის არსად დარჩენას არ აპირებდა, ბრუნდებოდა 19 ივლისს საქართველოში და ჩამოვიდა კიდეც. რა თქმა უნდა, ჩვენს ტელეფონებს უსმენენ და ჩამოსვლის წინა დღეს დაიჭირეს ოქრუაშვილის დაცვის უფროსი.

ეს იყო მეორე გზავნილი, თუ ჩამოხვალ, მიგაყოლებთო. ჩამოვიდა ირაკლი, არ შეეშინდა და ამით ჩაცვივდნენ სრულ აგონიაში, არ იციან, რა უნდა გააკეთონ და ვითომ 20 ივნისის მოვლენების გამო ჩასვეს ციხეში. სინამდვილეში, 20 ივნისის მოვლენები არაფერ შუაშია და ეს ყველამ კარგად ვიცით.

ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, მოიშოროს ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი, რომელსაც შეუძლია, ის გაისტუმროს პოლიტიკურ სანაგვეზე და პლუს ამას ამით თავიანთი ჭკუით ჩათვალეს, რომ რუსთავი 2 საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში.

ეს ყველაფერი უკავშირდება რუსთავი 2-ს და ირაკლი ოქრუაშვილის მიერ წარდგენილ დოკუმენტებს, რომლებითაც 100%-იანი ნამდვილობა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროშიც კი დადგენილია და, თუ დააკვირდებით მოვლენებს, ნახავთ, რომ ეს ასეა.

ირაკლი ოქრუაშვილი დაიბარეს დაკითხვაზე, როდესაც ის არ დაუკავებიათ. მეორე დღეს ხალვაში მივიდა ექსპერტიზის ბიუროში, სავარაუდოდ, რამდენიმე საათში იყო ექსპერტიზის პასუხი, რომ ხელმოწერა ნამდვილია და უცებ დააკავეს ოქრუაშვილი ისე, როგორც ყველაზე საშიშ ტერორისტებს აკავებენ. დაახლოებით 50-მა პოლიციელმა თბილისში დღისით, მზისით გადაგვიღობა მანქანები, გადმოცვივდნენ ჯავშანჟილეტებითა და იარაღით და დააკავეს ირაკლი ოქრუაშვილი ისე, თითქოს სადმე გაქცევას აპირებდა.

***– იმავე საქმეზე ნიკა მელიას სამაჯური გაუკეთეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს. ეს რუსთავი 2-ის თემით უნდა აიხსნას?***

– რა თქმა უნდა. ირაკლი ოქრუაშვილი რუსთავი 2-ის გამოა ციხეში. ვნახეთ ნიკა მელიას მხარდაჭერა, რომელიც ჩვენი მეგობარია, მაგრამ მე არ მაქვს იმის ილუზია, რომ ნიკა მელიას ეს ხელისუფლება დატოვებს სახლში. ესენი აუცილებლად გააგრძელებენ რეპრესიებს. არავის დაჭერა არ მინდა, მაგრამ ივანიშვილის ტვინში რა იხარშება, კაცმა არ იცის. ყველაზე ხმამაღლა მოლაპარაკე, ყველაზე აქტიურ პოლიტიკურ ლიდერებს ივანიშვილი აუცილებლად გამოკეტავს ციხეში.

ივანიშვილი ვერ ხვდება იმას, რომ ერთი ლიდერის დაჭერით ათასობით მტერს იჩენს. საბოლოოდ ისინი ბიძინა ივანიშვილს მოსთხოვენ პასუხს.

***– რას დაუპირისპირებთ ივანიშვილის რეპრესიულ პოლიტიკას?***

– ჩვენი სამოქმედო გეგმა მარტივია. დღეიდანვე ვიწყებთ შეხვედრებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ მისიებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უფლებადამცველებთან, სახალხო დამცველთან და ყველა იმ ადამიანთან, ვისაც შეუძლია, რომ მთელ მსოფლიოს გააგებინოს, რა ხდება საქართველოში.

ვეცდებით, მაქსიმალური წნეხი მოვახდინოთ ხელისუფლებაზე იმის გამო, რომ მას ჰყავს პოლიტპატიმრები, არა მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი, არამედ ის ახალგაზრდებიც, რომლებიც მან ქვეყნის სიყვარულის გამო გაუშვა ციხეში. დღეს გვყავს 18 დაპატიმრებული და 1 სამაჯურდადებული პირი, ანუ 19 პოლიტპატიმარი. ყველა ეს ადამიანი აუცილებლად გათავისუფლდება.

***– ტემპერატურის აწევას როგორ შეძლებთ, თუნდაც იმავე საპროტესტო მუხტის თვალსაზრისით?***

– ტემპერატურის აწევას რაც შეეხება, ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ივლისის ბოლოა და ეს ის ეტაპია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი გასულია ქალაქიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტემპერატურა არ აიწევა. ეს არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დავიმალებით და დაველოდებით, როდის მოვა ივანიშვილი ჭკუაზე.

მშვიდობიანი პოლიტიკური აქციები დაიწყება, არ აქვს მნიშვნელობა, 10.000 კაცი იქნება, 30.000 თუ 100.000. საქართველოს მოსახლეობის 80% ხვდება, რომ მათ შეიძლება იგივე მოუვიდეთ, მათ შვილებს იგივე დაემართოთ. ყველა ხვდება, რომ ამ ქვეყანას მომავალი არ აქვს ამ ხელისუფლების ხელში, ხედავენ, როცა სახლში მიდიან, რომ მაცივარი ხვდებათ ცარიელი, ხედავენ, რა დღეშია ლარი, 1 დოლარის ფასი უკვე 3 ლარი გახდა თითქმის, ეს მაშინ, როდესაც საქართველოში ტურისტების დიდი ნაკადია.

შემოდგომა იქნება გაცილებით მძიმე, ვინაიდან ლარი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო ქვევით წავა. რამდენიმე დღის წინ დაანონსდა, რომ ენერგოკომპანიებმა მარეგულირებელ კომისიას მიმართეს და თვის ბოლოს ტარიფები გაიზრდება. 1 დოლარის ფასი 3.5 ლარი იქნება, შევხვდებით შემოდგომას გაზრდილი ტარიფებით და



უფრო დაცარიელებული მაცივრით. ამ ყველაფერს რა მოჰყვება, ჩვენთვის ცნობილია. ასე რომ, არა მგონია, ბიძინა ივანიშვილს ჰქონდეს მშვიდი შემოდგომა. ის აუცილებლად მიიღებს იმას, რასაც ძალით აკეთებს და მე ვფიქრობ, რომ უნდა, ეს ყველაფერი მიიღოს.

***– გგონიათ, რომ ასე უნდა თუ, უბრალოდ, არსებულ რეალობას ვერ აცნობიერებს?***

– ვერ აცნობიერებს ერთია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს არის ხელისუფლება, რომელშიც არიან არაადეკვატური და უპროგნოზო ადამიანები.

ივანიშვილს ერთ დღეს რომ გაეღვიძება, ფიქრობს, რომ გადააბაროს ხელისუფლება, მაგრამ მეორე დღეს მასთან შევა მეორე მრჩეველი, რაღაცას ჩასჩურჩულებს ყურში და მეორე დღეს მიდის სხვა აზრამდე, რომ მოდით, დავიჭიროთ ყველა. მესამე დღეს კიდევ სხვა სურვილებით იღვიძებს და ა.შ.

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილის მმართველობამ უკვე გაასწრო სააკაშვილის მმართველობის ბოლო პერიოდს? ცხადია, ცუდი გაგებით გასწრებას ვგულისხმობ.***

– რასაც თქვენ გულისხმობთ, იმ თვალსაზრისით სააკაშვილის პერიოდი მოგონილია ამასთან, რაც ახლა ხდება. ამათთან შედარებით ისინი იყვნენ ანგელოზები, თუმცა არც ერთი და არც მეორე მისაღები, რა თქმა უნდა, არ არის.

ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც იმ ხელისუფლებამ დააკავა, იყო ირაკლი ოქრუაშვილი, თუმცა მოუხდა მისი მალევე გათავისუფლება. ამის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებას არც ერთი პოლიტიკური ლიდერი არ დაუკავებია, ანუ პოლიტიკური რეპრესიები არ მიმდინარეობდა.

ასეთი რამე ხდებოდა სამხრეთ აფრიკაში და ასეთი რამე ხდება რუსეთში, როდესაც ადამიანი გამოვა და პუტინის საწინააღმდეგო რამეს იტყვის, მაშინვე იჭერენ. ხომ ნახეთ, როგორ შევარდა 2 ტელევიზიაში ომონი რუსეთში და ა.შ. რაც ხდება რუსეთში, იგივე ხდება აქ.

სერგეი ლავროვმა თქვა, რომ საქართველოში იყო დესტრუქციული ძალები აქციაზე, მისი ლიდერები განეიტრალებული უნდა იყვნენ და მათ პასუხი უნდა აგონ. ივანიშვილმა ჩათვალა, რომ „დესტრუქციული ძალები“ ვართ ჩვენ. ესენი არიან ირაკლი ოქრუაშვილი, ნიკა მელია, დანარჩენი ლიდერები და დაადო მათ ხელბორკილები, ზოგს შედარებით მსუბუქი ფორმით, ზოგს – უფრო მძიმე. დამერწმუნეთ, საბოლოო ჯამში, მიზანი მისი მოწინააღმდეგე ყველა პოლიტიკური ლიდერის დაკავება იქნება.



# მიხეილ სააკაშვილი: „ის, ვინც მე და ივანიშვილს შორის ტოლობის ნიშანს აყენებს, ერთუჯრედიანია“

– ვერ მოხდება საქართველოში ვერც პუტინიზაცია, ვერც ბელარუსიზაცია, რასაც ივანიშვილი აკეთებს, არის საქართველოს ასლანიზაცია!

ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქით“ გავრცელებული ვიდეომიმართვისას განაცხადა.

მისი თქმით, ყველა ის ერთუჯრედიანი, ვინც ტოლობის ნიშანს აყენებს სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის, არის ივანიშვილის მთავარი მოკავშირე და სასარგებლო იდიოტი.

ამასთან, მიხეილ სააკაშვილი ირაკლი ოქრუაშვილის დაკავებასაც გამოეხმაურა.

– ირაკლი ოქრუაშვილს, ასევე მეცნიერს, სამოქალაქო აქტივისტ ბეჟან ლორთქიფანიძეს და კიდევ სხვა ადამიანებს პატიმრობა მიუსაჯეს სრულიად მოგონილი, არაფრისმთქმელი ბრალდებით და გასაგებია, რასაც აკეთებს ივანიშვილი. ივანიშვილმა გადაწყვიტა, მას შემდეგ, რაც „რუსთავი 2-ის“ ხელში ჩაგდების პროცესი ფინალურ ეტაპზე გადაიყვანა, მთლიანად პოლიტიკური სისტემის, ქვეყნის რეიდერობა და ქართველების ცხოვრების, ქვეყნის ერთადერთ რეიდერად ქცევა.

ხშირად საუბარია იმაზე, რომ ის არის პუტინიზაციის გზაზე, მაგრამ საქართველო არ არის რუსეთი. საქართველო არის სხვა მენტალიტეტის ქვეყანა, სხვა ღირსებისა და სხვა ეკონომიკის ქვეყანა, ის არ დგას ნავთობსა და გაზზე. საქართველოში არ არის საშუალება დიქტატურის დამყარების. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ამიტომ, ვერ მოხდება საქარ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თამარ ჩხეიძე: „დიქტატურა აქტიურ ფაზაში შევიდა“

## „ხორციელდება დივერსია საქართველოს წინააღმდეგ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.

***– თუ ადრე ოპონენტები საქართველოში „ოცნების“ მმართველობას არაფორმალურს უწოდებდნენ, ამ დღეებში უკვე გამოიყენება ტერმინი „დიქტატურა“. არის დიქტატურის ნიშნები?***

– სამწუხაროდ, ეს უბრალოდ ნიშნები აღარ არის. ჩვენ ფუნქციონირებადი დიქტატურა გვაქვს. დიქტატურა აქტიურ ფაზაში შევიდა. ვიღაცა იტყვის, რომ ეს ნამდვილი დიქტატურა არ არის. ეს არის სწორედ ის ფორმა, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს ჩვენს ეპოქასა და ჩვენს გარემოში. თანამედროვეობაში ამაზე მეტი რეაქცია და რეპრესია წარმოუდგენელია.

***– რისთვის უნდა იყოს საჭირო ასეთი მეთოდები?***

– პირველ რიგში, ეს სჭირდება რუსეთს, რომლის მითითებებსაც ასრულებს ივანიშვილი და მისი „ქართული ოცნება“. ძალადობა და ოპონენტების დევნა, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა ამ ხელისუფლებას ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ ბოლო დროს ამან შეტევის ხასიათი მიიღო. ხელისუფლება რუსეთის საამებლად ანგარიშს უსწორებს ყველას, ვინც რუსეთის პოლიტიკას ეწინააღმდეგება. ეს მკაფიო გახდა 20-21 ივნისის მოვლენების დროს. იმ ავადსახსენებელ ღამეს ქუჩაში გამოსულ თანამოქალაქეებს ისე სასტიკად გაუსწორდნენ, რომ ბევრი მათგანი ცოცხალი შემთხვევით გადარჩა. ადამიანებს დასთხარეს თვალები.

***– 15-მდე ადამიანი დააკავეს კიდეც.***

– მაშინ, როცა ხალხს დაერივნენ, არავინ არაფერს აშავებდა. საუბარი იყო მოლაპარაკებებზე. სახელმწიფო გადატრიალების ვინმესთვის დაბრალება საერთოდ სასაცილოა. ასე რომ არ დარეოდა ხალხს ხელისუფლება და ნორმალურად დაემყარებინა წესრიგი, მას არავინ გაკიცხავდა, თუნდაც, დაეკავებინათ წესრიგის დამრღვევები. 9 აპრილის ღამესავით ადამიანებს მისდევდნენ პარლამენტიდან საკმაოდ მოშორებით და უსწორდებოდნენ. 1989 წელს ეს რუსეთმა გააკეთა როდიონოვის რაზმის ხელით, 2019 წელს კი – ქართველების დახმარებით.

***– ბოლო დღეებში რეპრესირებულში მოიხსენიებენ პოლიტიკოს ირაკლი ოქრუაშვილს, ასევე ბიზნესმენებს ხაზარაძესა და ჯაფარიძეს.***

– ისინიც რეპრესიებში მოყვნენ. არა მგონია, ირაკლი ოქრუაშვილი დაეკავებინათ, რაც უნდა ეაქტიურა, რომ არა რუსთავი 2 და მისი განცხადებები ამ ტელეკომპანიის შესახებ. ამ საკითხშიც ძალიან აშკარაა ამ ხელისუფლებისა და რუსეთის დაინტერესება ამ არხის დადუმებით. სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების წინ რუსეთის ოფიციალური პირები პირდაპირ ამბობდნენ, მოგვაშორეთ რუსთავი 2-ო.

***– რაზე მიანიშნებთ?***

– ჩვენთან, ფაქტობრივად, ყველა გამორიცხავს, რომ რუსეთს შეეძლო ევროსასამართლოზე გავლენის მოხდენა. მთლიანად ამ ინსტიტუტზე რუსეთს ხელი არ მიუწვდება, მაგრამ ის გადაწყვეტილება 6-კაციანმა ჯგუფმა მიიღო. აქედან ერთი ქართველია – ჭანტურია, მეორე კი – აზერბაიჯანელი. დანარჩენ 4 ადამიანზე რუსეთის ზემოქმედება, თუნდაც ამ პირების მოსყიდვა ფანტასტიკის სფერო არ არის. დოკუმენტურად ვერ დავამტკიცებ, მაგრამ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

რუსეთის ფედერაცია ერევა საერთაშორისო და ევროპული სტრუქტურის მუშაობაში და არც მექრთამეობაა გაუგონარი მოვლენა.

ივანიშვილის ხელისუფლება შემჩნეულია ალიევის ინტერესების გატარებაში. ისინი ერთად ებრძვიან აზერბაიჯანელ დისიდენტებს. მარტო აფგან მუხთარლის საქმე რად ღირს! ევროსასამართლოს კოლეგიაში შემავალი აზერბაიჯანელი მოიქცეოდა ისე, როგორც ეს რუსეთსა და ივანიშვილს აწყობთ. თავისუფალი აზრის ჩასახშობად და რუსთავი 2-ის გასანადგურებლად „ქართული ოცნება“ დიდი ხანია, იბრძვის. ამაზე განცხადებები აქვთ გაკეთებული ივანიშვილს, კალაძეს, ვოლსკისა და სხვებს. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ივანიშვილი რამდენიმე ტელეწამყვანს შეხვდა. იქ მან განაცხადა, რომ ერთ წელიწადში ყველაფერს მიხედავს.

***– რუსთავი 2-ს უკვე მიხედეს?***

– ხელისუფლების აზრით, მიხედეს. რუსთავი 2-ის კოლექტივზე არ ვამბობ, მაგრამ, ვისაც ეკუთვნოდა, შესაბამისი იურიდიული პასუხი უნდა გაეცა. არ გამოვრიცხავ, რომ შესაბამისი პასუხი ამიერიდან გაეცეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას და სტრასბურის დიდმა პალატამ სხვა განაჩენი გამოიტანოს.

***– ნიკა გვარამიამ შეიძლება სხვა ტელევიზია გააკეთოს.***

– მეც შევიტყვე ამის შესახებ, მაგრამ რუსთავი 2-სთვის ბრძოლა აუცილებელია. რაც მეტი კარგი ტელევიზია გვექნება, მით უკეთესია. რუსთავი 2-ის დათმობა არაფრით არ შეიძლება.

***– ოქრუაშვილის დაკავებას რუსთავი 2-ს უკავშირებთ. ხაზარაძისა და ჯაფარიძისათვის ბრალის წაყენებაზე რას იტყვით?***

– პირველ რიგში, ამის მიზეზია ანაკლიის პორტი. რუსეთს, რომელიც ივანიშვილს მართავს, არ უნდა საქართველოში ასეთი ნავსადგურის არსებობა. ეს ბიზნესმენები სწორედ მისი მშენებლობით არიან დაკავებული. გარდა ამისა, ხაზარაძემ გამოაცხადა, რომ ქმნის საზოგადოებრივ მოძრაობას.

ეს ორი მომენტია გადამწყვეტი, რის გამოც მათ დევნიან. საუბედუროდ, ამ დევნას ახლავს დიდი ზარალი. ზარალდება სახელმწიფო. რუსეთს სწორედ ეს უნდა.

დღეს ხორციელდება დივერსია საქართველოს მიმართ. მათ დაკავებაზე თავი შეიკავეს აშშ-ის რეაქციის გამო. ძალიან მაწუხებს, რომ რეპრესიებში ნაკლებად ცნობილი და უცნობი ადამიანები მოჰყვნენ. ისინი უფრო მეტად არიან დაუცველნი.



მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია მეცნიერი ბეჟან ლორთქიფანიძე. 21 ივნისის ღამეს ისიც პარლამენტთან იმყოფებოდა, ხმა ამოიღო იმ ძალადობაზე, რაც ნახა. არანაირი გადატრიალება და ამბოხი არ კაცს არ უნდოდა.

***– მომავალში რა იქნება? ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს?***

– მნიშვნელოვანია დასავლეთის გამოხმაურება, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია საზოგადოებაზე. თუ საზოგადოება შესაბამის წინააღმდეგობას გასწევს, რეპრესიები შეწყდება.

1937 წელს სხვა კი არაფერი ხდებოდა! ახლაც იგივეა, რაც იმ საბჭოთა დროს. უბრალოდ, სხვა დროა და სხვა გარემო, განსხვავებული მოდელი მოქმედებს. ივანიშვილი ემზადება 2020 წლის არჩევნებისთვის. მას უნდა, რომ ეს არჩევნები დადუმებულ, ჩახშობილ, ნაკლებად კონკურენტულ სიტუაციაში და „დაჩმორებულ“ საზოგადოებაში ჩაატაროს.

ხალხმა ეს არ უნდა დაუშვას.

# პაატა დავითაია: „სოხუმისთვის საერთაშორისო კოდის მინიჭების საკითხში რუსეთთან გარიგება მოხდა“

26 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოხუმის აეროპორტს საერთაშორისო კოდი მიანიჭეს. კოდი ენიჭებათ დსთ-ში მყოფ ქვეყნებს. კოდის მინიჭებით სოხუმის აეროპორტი დარეგისტრირდა, როგორც როსტოვის საჰაერო ზონა.

– ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან იყო მცდელობა, რომ სოხუმის აეროპორტისთვის საერთაშორისო კოდი მიენიჭებინათ. იგივე განმეორდა 2008 წელსაც, აგვისტოს ომის შემდგომ. მაშინ საპარლამენტო სხდომებზე ვისაუბრე ამ პრობლემაზე. საკითხში საგარეო უწყება და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაერია და კოდის მინიჭება ვერ მოხერხდა.

ხაზი მინდა გაუსვა ერთ ფაქტს – იმ პერიოდში სოხუმის აეროპორტს კოდი კრასნოდარის საჰაერო სივრცეში დარეგისტრირებით უნდა მიეღო. მაშინდელმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ მკვეთრი მოქმედებებითა და მუქარით, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაში მყოფი აეროპორტის სხვა ქვეყნის აეროპორტის საჰაერო სივრცედ დარეგისტრირების გამო რუსეთის წინააღმდეგ სარჩელს შეიტანდა, პროცესი შეაჩერა.

დღეს ჩვენ ვიღებთ იმავე სურათს, მაგრამ უკვე შემდგარს – სოხუმის აეროპორტს URAS-ის საერთაშორისო კოდი მიანიჭეს. მე მაინტერესებს, როგორ იმოქმედა საქართველოს საგარეო უწყებამ ამის შემდეგ. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტი ხაჯიმბა თვითონ დამოუკიდებლად აეროპორტს საერთაშორისო კოდს ვერ მიანიჭებდა. ცალსახაა, რომ რუსეთმა მიანიჭა მას როსტოვის ოლქის კოდი.

საგარეო უწყება აცხადებს, რომ თანხმობაა საჭირო იმისთვის, რომ სოხუმის აეროპორტი გახდეს საერთაშორისო – ეს განცხადება გაკეთდა და ასეც არის – საქართველოს თანხმობა აუცილებელია. ამავე დროს, საგარეო უწყებამ აქცენტი არ გააკეთა სხვა ძალიან მნიშვნელოვან მომენტზე, რომ რუსეთი ადგა და ყველანაირი კითხვისა და თანხმობის გარეშე სოხუმის საჰაერო სივრცე, ფაქტობრივად, მიიერთა და მას როსტოვის ოლქის კოდი მიანიჭა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოებში უნდა შეიტანოს სარჩელი, რადგანაც მან დანაშაულებრივი გზით დაარღვია საქართველოს საჰაერო ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც „იკაოთია“ აღიარებული.

ამის გამო რუსეთს უნდა დაეკისროს სერიოზული სანქციები, რომელიც „იკაოს“ დარღვევის გამო უკვე განსაზღვრულია – რუსეთს, საერთაშორისო მასშტაბით უნდა აეკრძალოს ფრენები ანუ საქართველოს შეუძლია, რუსეთის ავიამიმოსვლები მთელი მსოფლიო მასშტაბით დაბლოკოს. ამას გააკეთებს „იკაო“, როგორც კი ამაზე დავა დაიწყება. თავის დროზე ამ შესაძლო სანქციის გამო ვერ განახორციელა რუსეთმა სოხუმის აეროპორტისთვის საერთაშორისო კოდის მინიჭება.



იმის ნაცვლად, რომ საქართველომ გამოიყენოს ბერკეტი რუსეთისთვის მსოფლიოს მასშტაბით ფრენების აკრძალვაზე, ქვეყნის საგარეო უწყება დუმს. ვსვამ შეკითხვას – რატომ? რატომ ქმნის იმის პირობას, რომ რუსეთის ფედერაციამ საკუთარი მიზნები საქართველოს საწინააღმდეგოდ განახორციელოს. ზუსტად იგივე სისტემაა საბანკო სექტორში, იგივე პრინციპია რკინიგზის თემაში.

კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გაუსვა – სოხუმის აეროპორტში რუსეთის თვითმფრინავიც კი ვერ ჯდებოდა, რადგანაც ეს „იკაოს“ წესების დარღვევაა. როსტოვის კოდის მინიჭებით ეს თვითმფრინავი დაჯდება. საქართველო თავის ბერკეტებს არ იყენებს და იბადება ძალიან ლოგიკური კითხვა: ხომ არ მოხდა რუსეთთან გარიგება? – აცხადებს საქართველოს ევროპელი დემოკრატების თავმჯდომარე პაატა დავითაია „თაიმერთან“ საუბარში.

**თაიმერი**

# მიხეილ სააკაშვილი: „ის, ვინც მე და ივანიშვილს შორის ტოლობის ნიშანს აყენებს, ერთუჯრედიანია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თველოში ვერც პუტინიზაცია, ვერც ბელარუსიზაცია. რასაც რეალურად აკეთებს, არის საქართველოს ასლანიზაცია. ვისაც ყველაზე მეტად ჰგავს ივანიშვილი, არის ასლან აბაშიძე. აბაშიძე ასევე „ბეზპრეძელშიკობდა“, ზუსტად ასევე მარიაჟობდა, ყველას იჭერდა და ყველას სცემდა იმ მომენტამდე, სანამ არ გაიქცა. ივანიშვილი თავისი გაქცევის ეტაპს ახლა ძალიან სწრაფად აახლოებს. ოღონდ მას გაქცევის საშუალება არ უნდა მივცეთ.

ვერ გავუშვებთ ქვეყნიდან ადამიანს, რომელიც თან წაიღებს თქვენგან მოპარულ მრავალ მილიარდს. მას აქვს ძალიან დიდი მზაკვრული გეგმები საქართველოს მიმართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, როდესაც მისი გაქცევის მომენტი დადგება, ამის საშუალება არ მიეცეს. ეს მომენტი ძალიან მალე დადგება. ამასობაში შეეცდება სხვების დაჭერას, სიტუაციის კიდევ უფრო მეტად არევას, მეტი რაღა ქნას. ბოლომდე ჩამოშალეს ეკონომიკა, იძახიან, მიტინგების გამოო.

ჩემ დროს რუსეთის დავალებით რამდენ მიტინგს გვიწყობდნენ, რა უბედურებები არ ხდებოდა და ეკონომიკა, ერთიანი ეროვნული პროდუქტი 400 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ბიუჯეტი გაიზარდა თითქმის 12-ჯერ. ვალუტის კურსი იყო 2-ჯერ უფრო მყარი, ვიდრე დღეს, ომის შემდეგ, რუსეთის შემოჭრის შემდეგ გამყარდა ვალუტის კურსი. მე გახსენებთ უბრალოდ ფაქტებს. ჩემს დროს 9-დან რვა წელიწადი იყო პოზიტიური ბალანსი, მეტი ხალხი ბრუნდებოდა ქვეყანაში, ვიდრე მიდიოდა. ყველა ის ერთუჯრედიანი, ვინც ტოლობის ნიშანს აყენებს სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის, არის უბრალოდ ივანიშვილის მთავარი მოკავშირე და სასარგებლო იდიოტი. როგორც ცა და დედამიწა განსხვავდება იმისგან, რაც იყო და რაც არის ივანიშვილი. მაგრამ მომავალში ის კი არ უნდა დაბრუნდეს, რაც იყო, სულ სხვა რაღაც უნდა შეიქმნას. ეს მომავალი მოვა ძალიან მალე. ახლა ჩვენ სულ მუდმივად უნდა გვყავდეს პრესინგის ქვეშ, მუდმივად უნდა ვურტყამდეთ და ვუქმნიდეთ პრობლემებს ყველა მხრიდან.

უნდა მოვიდეს ახალი ხალხი პოლიტიკაში, ახალგაზრდობა, სწრაფი გადამზადების კურსი უნდა გაიარონ, მათ შორის საუკეთესო მსოფლიო მაგალითების შესწავლით. ეს ყველაფერი უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ და ხდება უკვე. ქართველ ხალხს გვაქვს ზუსტი გეგმა, რადგან ივანიშვილმა დააჩქარა მოვლენები, ჩვენც დავუძაბავთ, დავუჩქარებთ და დავასრულებთ. ამისთვის საჭიროა ყოველგვარი ზედმეტი პანიკის გარეშე კონსოლიდაცია.

მინდა ვუთხრა, რომ ირაკლი ოქრუაშვილთან რთული ურთიერთობა მქონდა ყოველთვის. ის გამოიყენეს ჩემ წინააღმდეგ ცრუ ჩვენებების მისაცემად მისი პირადი განწყობების გამო, მაგრამ ახლა ის არის ნამდვილად უდანაშაულო მსხვერპლი. აქამდე, ამ პერიოდის განმავლობაში ძალიან ვაჟკაცურად მოიქცა. ეს არის ძალიან დასაფასებელი.

ლორთქიფანიძეს რომ დაიჭერ, ეს ნიშნავს, რომ თავზე ხელი აიღეო ისევე, როგორც აჭარაში უზენაესი საბჭოს წევრის, ბაგრატიონის დაჭერა სცადეს, ძალიან სოლიდური და კარგი ადამიანის. ბორია, შენ გგონია, რომ ეს ყველაფერი, ხიხო, გაგივა? მოემზადე, მაგრამ, რაც არ უნდა ჩემოდანი ჩაალაგო, მაგ ჩემოდნებს დაგატოვებინებ და არც ქართველი ხალხი გაგიშვებს ქვეყნიდან. ასლანი გავუშვით. შენ ასლანის გზას ისე ადგახარ, ისე ჰგავხარ გარეგნულადაც, მანერებითაც, რომ ისე კარგად ვერ დაასრულებ, როგორც ასლანი. თუ ახლავე არ შეწყვეტ ამ ყველაფერს, რასაც აკეთებ. ეს არ არის მუქარა, ეს არის ობიექტური რეალობა. ქართველი ხალხი არის ღირსების მატარებელი ერი, რომელიც არ აპირებს, მოითმინოს ის, რასაც ახლა შენ ჩადიხარ. ჩვეულებრივ ძალადობას ახორციელებ ქართველის ბუნებაში. მენტალურად ხარ რუსი, საერთოდ არ გესმის, რას ნიშნავს საქართველო და საქართველოს განწყობა, მისი თვისებები, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**ნიუპოსტი**

# რისთვის ემზადება ივანიშვილი

## „შეკვეთილის რეზიდენციას ავტომატიანი პირები იცავენ“



შორენა მარსაგიშვილი

რა გადაწყვეტილება მიიღო „ოცნების“ ლიდერმა, რა ნიშნით არჩევენ გასანეიტრალებელ ოპოზიციონერებს, რატომ სჭირდება ხალხს ოლიგარქის დასამარცხებლად ლიდერი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის წევრი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.

**ჯელალ ქიქავა:**

– ამ ბოლო დღეებში ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით რეპრესიები დაიწყო. ეს ასეა, მაგრამ რეპრესიები ახლა არ დაწყებულა, რეპრესიები რამდენიმე წელია, რაც მიმდინარეობს.

ივანიშვილმა პოლიტიკური რეპრესიები ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო. რეპრესიების პირველ ტალღას საზოგადოებამ რატომღაც ყურადღება არ მიაქცია.

***– რეპრესიების პირველ ტალღაში რას გულისხმობთ?***

– ახალაია და მერაბიშვილი რომ დაიჭირეს, ეს იყო რეპრესიების პირველი ტალღა. მერაბიშვილი იმის გამო დაიჭირეს, რომ 2011 წლის 26 მაისის აქციაზე ადამიანები ცემა. ერთი თვის წინ გახარიამ ბავშვებს თვალები დასთხარა და მაშინ ის დასახვრეტია.

აშკარაა, რომ ოლიგარქი ცდილობს ოპოზიციური ლიდერების განეიტრალებას. დავით კირკიტაძე რამდენიმე თვით ჰყავდათ ციხეში. ნიკა მელიას სამაჯური გაუკეთეს, ირაკლი ოქრუაშვილს პატიმრობა მიუსაჯეს. ესენი სერიოზული ხალხია, მანიკიურიანი ბიჭები კი არ არიან ზოგიერთივით.

***– მანიკიურიანი ბიჭები რამ მოგაფიქრათ?***

– ასეა ეს და მაგან მომაფიქრა. ესენი მებრძოლი ბიჭები არიან და მაგიტომაც ებრძვის ოლიგარქი ასე გამწარებით.

ამათ იციან, რევოლუცია როგორ კეთდება. რევოლუციას როცა ვამბობ, ბარიკადების აშენებას, ქვების სროლას და სადმე შევარდნას და მერე იქიდან გამოვარდნას არ ვგულისხმობ.

***– აბა რას გულისხმობთ?***

– კულტურულ რევოლუციას დავარქმევდი ამას.

28 ივლისს ცადეს საკრებულოს დეპუტატის, ელგუჯა ბაგრატიონის, განეიტრალება.

ყველანი წავედით მის მხარდასაჭერად ოზურგეთში, სადაც სასამართლო იმართებოდა. თავიდან ძალიან უნდოდათ მისი დაჭერა, მაგრამ მერე ველარ გაბედეს. ჯერ სისხლის სამართლის მუხლი წაუყენეს, ცოტა ხანში ადმინისტრაციულ მუხლამდე ჩამოვიდნენ.

***– ბაგრატიონს ივანიშვილის შეკვეთილის რეზიდენციის ვიდეოკამერის დაზიანებას ედავებოდნენ?***

– ედავებოდნენ, მაგრამ არ დაუზიანებია ელგუჯას ვიდეოკამერა, თავად დააზიანეს.

ახლა სულ არა აქვს მნიშვნელობა, რა იყო იქ, კამერა თუ პერაშკი. მთავარი ის არის, რომ ამგენი გადავიდნენ ტერორზე.

ჩვენ ამ ტერორს და უბედურებებს მიჩვეულები ვართ და იმისთვისაც მზად ვართ, რომ ყველას დაგვიჭერენ.

ავიღოთ თუნდაც ირაკლი ოქრუაშვილი, რატომ დაიჭირეს? არ ვამბობ, რომ ანგელოზი იყო და შეცდომები არ ჰქონდა, მაგრამ ვაჟკაცი ბიჭია. ის ძალიან მედგრად ეომებოდა რუს ოლიგარქს.

ყველა მის მიერ დაშვებული შეცდომის მიუხედავად ვაღიარებ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ერისკაცია. ამ ადამიანმა დაამტკიცა, რომ რუსთავი 2 მისია. ამიტომაც გამოკეტა ის ივანიშვილმა ციხეში.

***– თქვენ თქვით, მზად ვართ, ყველანი დაგვაპატიმრონო.***

– გიდასტურებთ, ველოდებით დაპატიმრებებს. ეცდებიან, ყველა ლიდერი და აქტიური ადამიანი გაანეიტრალონ.

***– ეს იმ ადამიანებზე არ იმოქმედებს, ვინც ოპოზიციურად არის განწყობილი?***

– როგორ არ იმოქმედებს. ისედაც ძალიან სერიოზულ პრობლემებს ქმნის ის ფაქტიც, რომ დღეს ოპოზიციას არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი. ლიდერის გარეშე საპროტესტო ტალღის აგორება გაჭირდება.

***– გინდათ თქვათ, რომ ქართველებს ლიდერებისა და ბელადების გარეშე არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია?***

– ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია. ბევრი გაგვიკეთებია და კიდევ ბევრს გავაკეთებთ, მაგრამ ბრძოლაში გვჭირდება ლიდერი.

გაგახსენებთ შევარდნაძის მმართველობის ხანას – ქვეყანა კორუფციაში იყო ჩაძირული, პენსია 14 ლარი იყო, ხალხს ქუჩაში კლავდნენ, დენი და გაზი საერთოდ არ იყო. ეს საშინელება წლები გრძელდებოდა, მაგრამ ერთი კაცი არ გამოსულა და არ გაუპროტესტებია ეს ამბავი.

***– მთლად ეგრეც არ იყო, შევარდნაძის მმართველობის ხანაში მიტინგები ხშირად იმართებოდა.***

– მიტინგები იყო, მაგრამ მათ ხელისუფლება სერიოზულად არ აღიქვამდა. შესაბამისად, აქციებსა და გამოსვლებს არც შედეგი მოჰქონდა.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ გაბრაზებულ ხალხს მიხეილ სააკაშვილი არ ჩაუდგა სათავეში. მისი წინამძღოლობით რაც ქნა ხალხმა, ეს 2003 წლის ნოემბერში ვნახეთ.

გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველებს ლიდერი გვჭირდება. არის ლიდერი? გამოიყვანს ქუჩაში ხალხს. არ არის ლიდერი? არავინ გარეთ არ გამოვა.



***– რატომ გგონიათ, რომ ლიდერის გარეშე არავინ არ გამოვა?***

– კი არ მგონია, ასეთია ჩვენი ბუნება. თან ახლა ქართველებს ძალიან გვიჭირს. გაჭირვებული ადამიანების მართვა ბევრად ადვილია.

სრულებით არ გამოვრიცხავ, ივანიშვილი ხელოვნურად აღარიბებდეს საქართველოს მოსახლეობას, რომ მერე უფრო იოლად მართოს ისინი. რასაც ახლა ივანიშვილი აკეთებს, თავისი მხრიდან ყველაფერს სწორად აკეთებს. ამიტომ ჩვენ სამიზნე უნდა შევცვალოთ და გახარიას თავი დავანებოთ.

***– გახარიასთან ბრძოლას აღარ აპირებთ?***

– ვის რაში აინტერესებს ეს გახარია.

***– შს მინისტრი და „ოცნების“ ხერხემალია.***

– მოიცათ რა, რაის მინისტრი და რაის ხერხემალი? ერთი პეშკა ფიგურაა. ჩვენ ახლა პეშკების დონეზე დასვლის დრო და ფუფუნება არ გვაქვს. პასუხი პირდაპირ ოლიგარქს უნდა მოვთხოვოთ. უნდა ვაიძულოთ, რომ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები ჩაატარონ. მერე ივანიშვილიც წავა და მაგის პეშკებიანი მთავრობაც.

***– ზემოთ გვითხარით, ლიდერები შეიძლება დაგვიჭირონო და დაამატეთ, რომ ხალხის დასარაზმად ლიდერია საჭირო. ლიდერები თუ განეიტრალებულები იქნებიან, არჩევნებზე ხალხი როგორ იმოქმედებს?***

– ეს არჩევნების შედეგზე არ იმოქმედებს. ხალხი ისეა გაბრაზებული, რომ ხმას აღარ მისცემს ბიძინას. ახლავე გეუბნებით, რომ ეგ ამომრჩევლის მოსასყიდად და „ოცნების“ გასამარჯვებლად ძალიან დიდ ფულს გამოყრის.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხს ძალიან უჭირს, ისინი ოლიგარქისგან ერთ თეთრსაც არ აიღებენ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში 900.000-მა ადამიანმა მისცა ხმა ოპოზიციის კანდიდატს.

ეს ხალხი არსად არ წასულა. ეს ხალხი ისევ მოვა არჩევნებზე და ხმას „ოცნების“ წინააღმდეგ მისცემს.

ამ 900.000-დან ყველა ნაციონალურ მოძრაობას არ მისცემს ხმას, მაგრამ ოპოზიციას ხომ მისცემენ. მთავარი ესაა.

***– ნაციონალურ მოძრაობას მომავალ არჩევნებზე რამდენი ადამიანი მისცემს ხმას?***

– 500.000 რომ ნამდვილად მოგვცემს, ამაში დარწმუნებული ვარ. ამ ხალხს ბიძინა ვერც აქამდე ყიდულობდა და ვერც მომავალში იყიდის. ეს ამომრჩეველთა 20-25%-ია. ამათ დაამატეთ განაწყენებული ხალხი. მოკლედ, სერიოზულ შედეგს დადებს ოპოზიცია.

ასეთ მნიშვნელოვან დროს დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ოპოზიცია ერთმანეთს დაუპირისპირდეს. ამის ნიშნები უკვე აშკარად ჩანს.

***– რა ნიშნებზე საუბრობთ? „ევროპული საქართველოს“ ნაწილი 20-21 ივნისის ღამეს შეცდომად რომ მიიჩნევს?***

– არა მარტო მაგას. თავად ვთქვი, რომ დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ოპოზიცია ერთმანეთს დაუპირისპირდეს. ამიტომ არავისზე აუგს არ ვიტყვი და სხვებსაც ამის გაკეთებისკენ მოვუწოდებ.

ჩვენ ვეტაკებით ძალიან დიდ მონსტრს, ამიტომ ყველანი უნდა ვიყოთ ერთად. რაის ერთმანეთთან ქიშპი? ახლა ეს როგორ შეიძლება.

ვიღაცებს ახლა შეიძლება ჰგონიათ, რომ ოპოზიციას თუ გაემიჯნებიან და გალანძღავენ, ოლიგარქის კეთილგანწყობას მოიპოვებენ. დამიჯერეთ, სულ ფეხებზე ჰკიდია ამ კაცს, ვინ გაემიჯნება ოპოზიციას და ვინ – არა.

***– რატომ გგონიათ, რომ ივანიშვილს ეს ფეხზე ჰკიდია?***

– კარგად ვიცნობ და მაგიტომ. ეგ კაცი თავიდან ბოლომდე აწყობილია ფულის შოვნაზე. დანარჩენი ყველაფერი სულ ფეხებზე ჰკიდია. ისიც კი არ აინტერესებს, „ოცნებას“ თუ გაემიჯნებიან მისი წევრები.

***– ასე ხომ გუნდის გარეშე დარჩება?***

– ეგეც ფეხებზე ჰკიდია. ან სად ჰყავს გუნდი? გუნდს ეძახით თალაკვაძეებსა და მდინარაძეებს? ივანიშვილმა ისიც კარგად იცის, რომ ესენი მისი ნების წინააღმდეგ წასვლას ვერ გაბედავენ. ამიტომ ჰკიდია ფეხებზე მათი აზრიც და ქმედებებიც.

***– ჯერ კიდევ გასულ წელს თქვენ „ახალ თაობასთან“ საუბარში თქვით, „ოცნების“ წევრებმა იმდენი ფული იშოვეს, სულ აღარ აინტერესებთ ბიძინაო.***

– ასეა. „ოცნების“ ნაწილმა ძალიან დიდი ფული იშოვა და მათთვის ივანიშვილი არაფერს აღარ წარმოადგენს. ერთ დღეს ამათგან შეიძლება დიდი სიურპრიზიც მიიღოს.

***– რა სიურპრიზს გულისხმობთ, რაც თავის დროზე განაციონალებულმა მოქავშირლებმა გაუკეთეს შევარდნაძეს?***

– ეს გარდაუვალია. ამ ხალხს იმდენი ფული აქვს, ივანიშვილს ფეხზე დაიკიდებენ. ფულიანების გარდა, ოლიგარქს სხვებიც დაიკიდებენ ფეხზე. დაიმახსოვრეთ, ყველა განუდგება მაგას.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ივანიშვილს შეკვეთილში სისხლს ვუშრობთ. მის რეზიდენციასთან ყოველდღე ვმართავთ აქციებს. ჩვენ წინააღმდეგ ძალიან აქტიურობს რამდენიმე პოლიციელი. მათ შორის ერთი ოზურგეთის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობს.

სულ მაინტერესებდა, რატომ აქტიურობდნენ ასე ძალიან და რატომ ჩადიოდნენ ამდენ უკანონობას ჩვენ წინააღმდეგ. ვარკვიე, ვარკვიე და გავარკვიე, რომ თურმე წილში უსხედან იმ კომპანიას., ვისაც მდინარეებიდან ხრეში ამოაქვთ. მოსახლეობას მთელი საძოვრები გაუნადგურეს.

დასაბუთებულად გავარკვიე, რომ ამ აგრესიულმა პოლიციელმა თბილისში 600.000-იანი ბინა იყიდა, ბათუმში კიდევ – 2 აპარტამენტი.

ასე რომ, ახლა ესენი თავიანთ ფულს იცავენ მხოლოდ და ბიძინა ივანიშვილი სულ ფეხებზე ჰკიდიათ.




### ჯელალ ქიქავა: „პეშკა გახარია აღარ გვაინტერესებს, ოლიგარქი უნდა გავუშვათ“

ჩინოსნების დიდ ნაწილს ოლიგარქი გულზე არ ეხატება, მაგრამ მის წასვლას მაინც ეწინააღმდეგებიან. ახალი ხელისუფლება მათ მოპარული საბიუჯეტო თანხების უკან დაბრუნებას მოსთხოვს. ამიტომ არ ეთმობათ ოლიგარქი, თორემ კი არ უყვართ.

ყველაზე საშიშია, როცა პოლიცია ხდება კორუმპირებული. ამ ადამიანებზე გვაქვს მინდობილი ჩვენი და ჩვენი ოჯახების უსაფრთხოების დაცვა. ახლა მათ ჩვენთვის არ სცალიათ და თავიანთ ფულს იცავენ.

იმ გაჭირვებულ ქვეყანაში, სადაც 3-ჯერ ყიდიან მეორად ტრუსიკს, დაუშვებელია, რომ პოლიციელი 600.000-იან ბინას ყიდულობდეს, იმიტომ კი არა, რომ პოლიციელი კარგად არ უნდა ცხოვრობდეს, პოლიციელს ასეთი ბინის შეძენისთვის საჭირო შემოსავალი არ აქვს.

ამ ფუფუნების შესანარჩუნებლად ისინი მზად არიან, ნებისმიერი უკანონობა ჩაიდინონ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა უკანონო ბრძანებებს ასრულებენ.

ჩვენ ოლიგარქს შეკვეთილის რეზიდენციასთან მხოლოდ დისკომფორტს ვუქმნით, მაგრამ არ ვარღვევთ კანონს. კანონს რომ პატივს ვცემთ, მაგიტომ არ ვუვარდებით რეზიდენციის ტერიტორიაზე.

***– მხოლოდ ამიტომ, თუ კარგად არის იქაურობა დაცული?***

– მხოლოდ ამიტომ. დამიჯერეთ, თავისუფლად შეგვიძლია იქ შევარდნა და იქაურობის აწიოკება-დაწიოკება.

ერთი რამეც მინდა გითხრათ, რაც 27 ივლისს დავაფიქსირეთ – ივანიშვილის რეზიდენციის ეზოში ავტომატიანი ხალხი გამოჩნდა. აქამდე ავტომატიანები არ ჩანდნენ.

***– ავტომატიანები ალბათ დაცვაა.***

– დაცვაა, მაგრამ არც დაცვას აქვს უფლება, ასე აშკარად ატრიალოს იარაღი.

***– იარაღის ტარების უფლება თუ აქვთ?***

– ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღის ტარების უფლება არავის აქვს. ივანიშვილი ისეთი შეშინებულია, რეზიდენციის ტერიტორიაზე ავტომატიანები განათავსა.

***– თქვენ ასლან აბაშიძის რეჟიმთან დიდი ბრძოლის გამოცდილება გაქვთ და გემახსოვრებათ, რომ მისი დაცვაც ავტომატებით დადიოდა.***

– მაგას რა დამავიწყებს. მარტო დაცვა არ დადიოდა ავტომატებით. მოსახლეობას დაურიგა უნგრული „კალაშნიკოვები“. იცით, რამდენი უბედურება იქნა ჩადენილი მერე ამ იარაღით? უამრავი.

ასლანას ბევრი ავტომატიანი იცავდა, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ვერავინ ველარ დაიცვა. მას საქართველოდან გაქცევა მოუხდა, მისი დარიგებული ავტომატები კი ხალხმა უკან დააბრუნა.

ივანიშვილის საქმეც ასეა – მას ველარც ავტომატი უშველის და ველარც ტანკი. ის უნდა წავიდეს.

## ბათუ ქუთელია: „ქვეყანაში ავტოკრატიული მმართველობის სიმპტომებია“



საქართველოს ატლანტიკური საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ანალიტიკოსი ბათუ ქუთელია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შეფასებისას აცხადებს, რომ ივანიშვილი „ქართული ოცნების“ სახით ქვეყანაში ამყარებს რუსული პუტინის სტილის მმართველობის რეჟიმს.

მისი თქმით, არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი თუ უბრალო მოქალაქე, ყველა თავისუფლად მოაზროვნე და ოპონენტი ივანიშვილისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

– სახეზეა, რომ ეს მმართველობის სტილი არ არის მექანიკურად გადმოკოპირებული, წარმოადგენს რუსული ე.წ. სუვერენული დემოკრატიის გაგრძელებას, რომლის მთავარი ნიშანსვეტი არის ოპოზიციური აზრის მოშთობა ან საერთოდ გაჩერება. ქვეყანაში ტიპური ავტოკრატიული მმართველობის სიმპტომებია და ნებისმიერი ოპონენტი რეჟიმისთვის საფრთხეს წარმოადგენს, – ამბობს ბათუ ქუთელია.

ნიუპოსტი

# „2020 წელს კოალიციური მთავრობა გვექნება“

## კონსტანტინე გამსახურდია: „გადატრიალებების ისტორია უნდა დავასრულოთ“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო კონსტანტინე, ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე რამდენად ელოდებით, რომ საკონსტიტუციო ცვლილება მოხდება და შერეული საარჩევნო სისტემიდან პროპორციულზე გადავალთ?***

– ეს პროცესი დაიძრა და, იმედი მაქვს, ერთხელ და საბოლოოდ გადავალთ არსებული მოდელიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე.

***– თუ „ქართული ოცნება“ იტყვის, რომ მაჟორიტარები არ არიან თანახმა?***

– ასე არ გამოვა. თუ ხელისუფლების, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ნება იქნება, მაშინ ეს ცვლილება აუცილებლად მოხდება, თუ არა, მაშინ არ მოხდება.

***– და როგორ შეიძლება, ამის შემდეგ პროცესები განვითარდეს?***

– ამის წარმოდგენაც კი არ მინდა! ეს უკვე იქნება შეგნებული პროვოცირება თავად ხელისუფლების მიერ, რასაც შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვეს. ეს იყო პოლიტიკური დაპირება და რა გამოვა, რომ ხელისუფლებამ მთელი საზოგადოება, ამომრჩევლიან-ოპოზიციანად გადააგდო?! წარმოუდგენელია!

***– ნულოვანი ბარიერი ერთხელ უკვე იყო ქართულ პოლიტიკურ რეალობაში გამოყენებული, რამაც მაშინ გაამართლა. გაამართლებს ახლა?***

– ეს პერიოდი ძალიან კარგად მახსოვს და ვიცი. ნულოვანი ბარიერი არის პოლიტიკური პროცესის ხელის შესაწყობად. ამიტომაა ეს მოგონილი.

დღეს პოლიტიკური სისტემა მაფიოზურია. არიან დიდი, მონსტრი პარტიები, რომლებსაც ყველაფერი ჯიბეში აქვთ, პოლიტიკური ველი აქვთ მონოპოლიზებული ფინანსური, ადმინისტრაციული რესურსით და ამ ფონზე ვილაცები ერთკაციან პარტიას ეძახიან პარტიებს, რომლებსაც არც ადმინისტრაციული რესურსი უდევთ ჯიბეში და არც ფინანსები. ეს არის ცინიზმი და სხვა არაფერი.

უკვე მერამდენედ გამოვცადეთ, რომ უმრავლესობის დომინირება დამღუპველია. მოდის ერთი ლიდერი თავისი მონსტრი პარტიით, რომელიც იღებს საკონსტიტუციო უმრავლესობას და 8 თუ 10 წლის შემდეგ რას ვხედავთ, გადატრიალების გზით უნდა დაემხოს.

ამიტომ ერთხელ და საბოლოოდ რომ დავასრულოთ შევარდნები, გამოვარდნები, გადატრიალებები, ყველაზე ოპტიმალური გზა არის ევროპული გზა. ევროპული გამოცდილება – კოალიციური მთავრობა, როდესაც ყველა ერთად გარკვეული პირობებით თანხმდება იმაზე, რომ ქვეყნის განვითარებასა და მომავალზე აიღოს პასუხისმგებლობა.



ეს არის ერთმანეთის დაბალანსების, ერთმანეთის გაკონტროლების, ერთმანეთზე პასუხისმგებლობის გადანაწილების პოლიტიკა. თუ ამ გზით არ წავალთ, არაფერი გვეშველება.

გადატრიალებების ისტორია უნდა დავასრულოთ. 26 წელია ვუყურებთ სრულ მონოპოლიას, რაღაც მონსტრს, რომელიც მოდის და შემდეგ წასვლა არ უნდა. ამიტომ დღის წესრიგში შემოდის გადატრიალება, შევარდნა. ეს უნდა დავამთავროთ!

***– როგორ?***

– საარჩევნო სისტემის რეალური ცვლილება მთელი თავისი შემადგენელი ნაწილით იქნება ერთ-ერთი წინაპირობა, რომ რაღაც შევცვალოთ. მეორე ნაბიჯი იქნება კოალიციური მთავრობა, მუდმივი დიალოგის რეჟიმში, რა უკეთესია და რა ჯობია ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ დასავლური გამოცდილების იქით გზა არ გვაქვს.

***– კოალიციურ მთავრობას ხშირად პრობლემები ახლავს, თუნდაც დასავლეთში, მაგალითად, გერმანიაში, იტალიაში ხშირია ვადამდელი არჩევნები.***

– მე გეთანხმებით, მაგრამ ჩვენ სხვა ალტერნატივა არ გვაქვს. ამ ერთპარტიული უკულტურობიდან დასავლურ პოლიტიკურ კულტურაზე უნდა გადავეწყოთ. მაგალითად, სულ ახლახან უკრაინაში არჩევნებში 5 პარტია გავიდა, მართალია, ერთი უმრავლესობით, მაგრამ იქაც კოალიციურ მთავრობაზე დაიწყებენ ფიქრს.

***– 2020 წლის არჩევნებზე მინდა გკითხოთ. როგორია თქვენი მოლოდინი?***

– 2020 წლის არჩევნების შედეგად პირველი რეალური კოალიციური მთავრობა გვექნება და ეს იქნება ისტორიული ნაბიჯი საქართველოს უახლესი პოლიტიკის ისტორიაში.

ევროპული პოლიტიკური კულტურა უნდა დავამკვიდროთ, სხვა გზა არ გვაქვს. თუ ამ გზით არ წავალთ და თუ პოლიტიკურ რეალობას არ გავაჯანსაღებთ, მაშინ ამ მოჯადოებულ წრეზე ვიტრიალებთ.

# მოსკოვთან მოლაპარაკებების დაწყების მოთხოვნით პატრიოტთა ალიანსმა აქცია გამართა

შორენა მარსაგიშვილი



იმ დროს, როცა რუსეთის ხელისუფლება თავად რუსებს აღარ უნდათ, ქართველი პოლიტიკოსების ნაწილი კრემლთან დიალოგს ითხოვს.

გუშინ, 28 ივლისს, იმ დროს, როცა მოსკოვში რამდენიმე ათასი კაცი ერთხმად „პუტინ ხუილოს“ ყვიროდა, ბათუმში პატრიოტთა ალიანსი რუსეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დაწყებას ითხოვდა.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ამ აქციის უკან „ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი დგანან.

პატრიოტების აქცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოვიდა. პატრიოტების არაპატრიოტულ ღონისძიებას, ბათუმელების გარდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩასულებიც ესწრებოდნენ. ისინი ბათუმში სამარშრუტო ტაქსებით ორგანიზებულად ჩაიყვანეს.

აქციის მთავარი არსი რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყება იყო, მაგრამ პატრიოტებს ყურადღების მიღმა არც შიდა სამზარეულო დაუტოვებიათ. „არა ოცნებას“, „არა ნაციონალურ მოძრაობას“ „უნდა დავიწყოთ დიალოგი მოსკოვთან, ცხინვალთან და სოხუმთან“ – ასეთი ლოზუნგები ფრიალებდა ბათუმში გამართულ აქციაზე.

პარლამენტისდეპუტატი და პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ადა მარშანია მიიჩნევს, რომ საქართველო არავის და არაფერს აღარ უნდა დაელოდოს და მოსკოვთან დიალოგი დაიწყოს.

მოლაპარაკებების გასამართად პატრიოტები უკვე რამდენიმეჯერ ჩავიდნენ ჩრდილოეთში. ადა მარშანიას თუ დავუჯერებთ, ისინი რუსებს თავდახრილები სულაც არ ესაუბრებიან.

– ჩვენ უნდა დავიწყოთ საუბარი და დიალოგი მოსკოვთან, უნდა დავიწყოთ საუბარი აფხაზებთან და ოსებთან, როდემდე უნდა ვიყოთ ასე, ვის ველოდებით. ჩვენ დავკარგეთ, ჩვენ დავზარალდით. მოსკოვში როცა ჩავდივართ, რუსულ მხარეს არ ველაპარაკებით თავდახრით, – განაცხადა ადა მარშანიამ.

აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის აუცილებლობაზე პატრიოტები აქამდეც აკეთებდნენ განცხადებებს. ამის საპასუხოდ სოხუმმა და ცხინვალმა დაიბარეს, რომ მათ ქართველებთან სალაპარაკო არაფერი აქვთ.

ადა მარშანია კი ამბობს, რომ მათთან ლაპარაკი აუცილებელია.

პარლამენტის ვიცესპიკერი და ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი, რუსებთან დიალოგის დაწყების პარალელურად, გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილის დასჯას ითხოვს.

მათი გასამართლების მოთხოვნით ალიანსმა რამდენიმე თვის წინ ხელმოწერებიც შეაგროვა. ხელმოწერები პარლამენტშიც წარადგინეს, მაგრამ „ოცნებამ“ ალიანსი ამ ამბავში დააიგნორა.

ინაშვილი ამბობს, რომ რეაქციულ ნაცებს ყური არ უნდა ვუგდოთ და რუსეთთან საერთო ენის გამონახვა ვცადოთ.

– რეაქციული, ჭეშმარიტი ნაცმოძრაობა ბოკერიაა და ეს ხალხი უნდა გასამართლდეს.

ახლა მიდის ლაპარაკი იმაზე, ოკუპანტია – არ არის ოკუპანტი. ჩვენ, ხალხნო, ქვეყნის გაერთიანება გვინდა თუ არა?! ამიტომ უნდა ვიყოთ მტკიცე, უნდა ველაპარაკოთ ცხინვალს, უნდა ველაპარაკოთ სოხუმს, უნდა ველაპარაკოთ მოსკოვს და ყველგან უნდა ჩავიდეთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად, – აღნიშნა აქციაზე ირმა ინაშვილმა.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი დავით თარხან-მოურავი ბათუმიდან ერს შთააგონებდა, რომ ტერმინ ოკუპანტის გამოყენებაც კი დამაზიანებელია.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ბათუმში რუსი ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. ამას ადგილობრივები განიცდიან და თარხან-მოურავმა ამ ფაქტზეც ცადა ყურადღების გამახვილება.

ალიანსის ლიდერის განცხადებით, რუსეთთან დიალოგზე წასვლა არ ნიშნავს, რომ მათ რამე უნდა დავუთმოთ.

– დააკვირდით, ეს ტერმინები: „ოკუპანტია“, „მტერია“, ვერ ხვდებით, რომ სულ მტრობისა და ომისკენ მიდის საქმე?! ჩვენ არ გვინდა მტრობა, არც ომი გვინდა. არც მოსკოვთან გვინდა მტრობა და ომი, არც ცხინვალთან, არც სოხუმთან, არც ბაქოსთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენსას რამეს ვთმობთ.

ჩვენ ყველა სიტყვას უნდა დავუფიქრდეთ, არც ერთი სიტყვა არ უნდა ვთქვათ, რომელიც ამ მტრობასა და ომს აღვივებს. გონივრული საუბარი, დიპლომატია რა არის, დიპლომატია კი არ არის, რომ მიხვიდე კაცთან და ხელი დაარტყა, ან ჩახვიდე და მაგიდაზე მუშტები ურტყა. დიპლომატია არის ჭკვიანური სიტყვა, რომელსაც მოაქვს მშვიდობა. ჩვენ გვინდა დიალოგი მოსკოვთანაც, სოხუმთანაც, ცხინვალთანაც.

ჩვენ გვინდა ტურისტები, რომლებიც აქ არ არიან ახლა, ბიზნესიც გვინდა, ექსპორტიც, იმპორტიც, კარგი ცხოვრება, ოჯახური ბიზნესი გვინდა. გვინდა ის, რასაც მოაქვს სიმდიდრე, ყოველი ოჯახის გამდიდრება. არ გვინდა არც „ქართული ოცნება“, არც ნაცმოძრაობა, არც ბოკერიები, – განაცხადა თარხან-მოურავმა.

# ბაჩუკი ქარდავა: „ივანიშვილი ცდილობს, პოლიტიკური ველი მოასუფთაოს“



ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ბაჩუკი ქარდავას თქმით, ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებით ბიძინა ივანიშვილი ორ მიზანს ისახავს – ერთი, დაფაროს, რომ რუსთავი 2 ნამდვილად არ ეკუთვნის ქიბარ ხალვაშს და მეორე, ის ცდილობს, პოლიტიკური ველი მოასუფთაოს.

– ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით არის ორი ძირითადი მომენტი. ერთი ცალსახად ჩანს და იკვეთება – მისი ციხეში გამწესებით სასამართლომ მთელ საზოგადოებას უთხრა, რომ რუსთავი 2 მართლა არ ეკუთვნის ხალვაშს. რადგან ბიძინა ივანიშვილი გაღიზიანდა ოქრუაშვილის ბოლო აქტივობებით და ეს აქტივობები მას არ აწყობს, რადგან კარგად იცის, რომ ხალვაშს არ ეკუთვნის რუსთავი 2. ხოლო მეორე ეს არის სურვილი, მოასუფთავოს პოლიტიკური ველი. მაგრამ 21-ე საუკუნეში ეს არის წარმოუდგენელი. დღეს პოლიტიკური ოპოზიცია არის კონსოლიდირებული, სამოქალაქო სექტორი, უკვე მედიაც ჩაერთო ამაში. რეპრესირებული რუსთავი 2, რეპრესირებული პოლიტიკოსები, რიგითი მოქალაქეები, რომლებმაც გააპროტესტეს რუსეთის ოკუპაცია. ეს ვითარება, შეუძლებელია, შენარჩუნდეს, – აცხადებს ბაჩუკი ქარდავა.

ნიუპოსტი

# შამანმა ელენა ბატირმა აგვისტოს ყველაზე სახიფათო დღეები დაასახელა



რუსმა შამანმა ელენა ბატირმა აგვისტოს ყველაზე სახიფათო დღეები დაასახელა. მან ხაზი გაუსვა, რომ ხიფათი ძირითადად ჯიუტი მამაკაცებისგან წამოვა და ყველა გააფრთხილა, რომ ამ დღეებში მათთან კონფლიქტს მოერიდონ. ასევე ამ დღეებში მოსალოდნელია გარკვეული შეფერხებები საქმეში.

მისი თქმით, ეს დღეებია 2, 15, 23, 27, 31 აგვისტო.

რაც შეეხება განსაკუთრებულად კარგ დღეებს, ესენია 7, 8 და 26.

– აგვისტო კეთილგანწყობილი თვე იქნება, გარდა დასახელებული უარყოფითი და განსაკუთრებულად კარგი დღეებისა, დანარჩენი დღეები ჩვეულებრივი დღეებია, შეგიძლიათ, მშვიდად დაისვენოთ, არ ინერვიულოთ. თუმცა აგვისტოს ბოლოს ახალგაზრდებისთვის ე.წ. ყოყმანის პერიოდი დაიწყება, – აღნიშნა შამანმა.

ნიუპოსტი

# ლარის გაუფასურების ქრონიკა 2019 წელს – 20 ივნისამდე და მას შემდეგ

26 ივლისის ვაჭრობის შემდეგ ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2 ლარი და 93 ლარი გახდა. კომერციულ ბანკებში დოლარის ყიდვა კიდევ უფრო ძვირად – 2 ლარად და 98 თეთრადაა შესაძლებელი. თავის არსებობის ისტორიაში ლარი დოლარის მიმართ მსგავსად გაუფასურებული არ ყოფილა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ლარის ბოლოდროინდელ გაუფასურებას ერთი მხრივ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, მეორე მხრივ კი რუსეთის მიერ ავიაშეზღუდვის დაწესებით ხსნიან. ეროვნულმა ბანკმა ლართან დაკავშირებით ბოლო განმარტება 24 ივლისს გააკეთა, სადაც აღნიშნავდა, რომ დღეს არსებული ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, სავარაუდოდ, უფრო გაუფასურებულია, ვიდრე ამას მიმდინარე საგარეო შოკის ზომა მიუთითებს. საგარეო შოკში სებ-ი რუსულ ავიაშეზღუდვას გულისხმობდა.

პრემიერის მამუკა ბახტაძის შეფასებით კი ლარის გაუფასურება 20 ივნისს და შემდგომ განვითარებული მოვლენების გავლენის შედეგია. როგორც ბახტაძემ ჟურნალისტებს ეროვნული ვალუტის საკითხზე დასმული კითხვის საპასუხოდ განუცხადა, ნაციონალური მოძრაობის ავანტიურისტმა წევრებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დადებითი დინამიკა დიდი ნეგატივის წყარო გამხდარიყო.

როგორ ივაჭრებოდა ლარი წლის დასაწყისიდან და როგორია მისი გაუფასურების დინამიკა 20 ივნისის შემდეგ?



რეალურად, ლარის კურსმა დოლარის მიმართ მკვეთრი გაუფასურება მაისის დასაწყისიდან დაიწყო, შესაბამისად ამ პერიოდში მასზე გავლენა ვერ ექნებოდა ვერც ვლადიმერ პუტინის მიერ დაწესებულ ავიაშეზღუდვას და ვერც ივლისში რუსეთიდან შემცირებულ ტურისტულ ნაკადებს.

2019 წლის დასაწყისში ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2 ლარი და 67 თეთრი იყო. წლის პირველ სამ თვეში, ლარი დოლარის მიმართ 2 თეთრით გაუფასურდა და მარტის ბოლოს მისი ღირებულება 2.69 ლარი გახდა.

აპრილში ლარის მერყეობა არ შეინიშნებოდა და კურსი 2 ლარსა და 70 თეთრს შორის შენარჩუნდა.

რეალურად, ლარის გაუფასურება მაისიდან დაიწყო. კერძოდ, თუკი მაისის დასაწყისში ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2 ლარი და 70 თეთრი იყო მაისის ბოლომდე ლარი 10 თეთრით გაუფასურდა. ერთ თვეში ეროვნულმა ვალუტამ საკუთარი ღირებულების 3.7% დაკარგა და მაისის ბოლოს ერთი დოლარის ღირებულება 2 ლარი და 80 თეთრი გახდა.

გაუფასურების დინამიკა შენარჩუნდა ივნისშიც. თვე ლარმა მცირედი გამყარებით დაიწყო და 20 ივნისს მისი კურსი მაისის ბოლოსთან შედარებით 2 თეთრით გამყარებული – 2.78 ლარი იყო.

ლარის შემდგომი გაუფასურება კი 25 ივნისიდან დაიწყო. ივნისის ბოლოს დოლარის ღირებულებამ 2 ლარს და 86 თეთრს მიაღწია. გამოდის რომ ივნისში ლარი 6 თეთრით გაუფასურდა. მაისთან შედარებით მისი ღირებულება 2.1%-ით შემცირდა – ნაკლებად ვიდრე ეს მაისში მოხდა.

რაც შეეხება ივლისის თვეს, თვის დასაწყისიდან ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ 11 თეთრით გაუფასურდა.

რუსული ავიაშეზღუდვის პირველი შედეგი უკვე შეაფასა თიბისი ბანკმა. ბანკის მონაცემებით, ივლისის პირველ კვირაში, მანამ სანამ ავიაშეზღუდვა შევიდოდა ძალაში, საქართველოში 50 030 რუსი ტურისტი შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 4.1%-ით ნაკლებია. აქედან, 10%-ზე მეტად შემცირდა თბილისის აეროპორტში ჩამოსული მგზავრების მაჩვენებელი, 13%-ზე მეტად ბათუმის, ხოლო ქუთაისის აეროპორტში კი თვის პირველ კვირაში რუსი ვიზიტორების რაოდენობა არ შემცირებულა და პირიქით 34.8%-იანი ზრდა აჩვენა. რაც შეეხება სახმელეთო გზით შემოსულ ტურისტებს, ივლისის პირველ კვირაში მათი რაოდენობა 1.6%-ით შემცირდა. რაც შეეხება ივლისის მეორე კვირას, TBC-ის მონაცემებით, ამ პერიოდისთვის საქართველოში რუსი ტურისტების რაოდენობა 21.4%-ით არის შემცირებული. მათ შორის საჰაერო გზით შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 78%-ით შემცირდა, 1.7%-ით კი სახმელეთო გზით შემოსული. TBC-ში განმარტავენ, რომ მიუხედავად პირდაპირი ავიამიმოსვლის შეზღუდვისა, არაერთი რუსი ტურისტი შემოდის საქართველოში საჰაერო გზით, სხვადასხვა ქვეყნებიდან, რაც მიანიშნებს, რომ ავიაკომპანიებმა ალტერნატიული შეთავაზებები განავითარეს. მიუხედავად რუსი მოგზაურების შემცირებისა, TBC-ის კვლევით, ივლისის პირველ ორ კვირაში საქართველოს 3.2%-ით მეტი ტურისტი ეწვია, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

**Forbes Georgia**

# გიორგი ქადაგიძე: „შეუძლებელია, თავისუფლების იდეა დამარცხდეს“



შეუძლებელია, დამარცხდეს თავისუფლების იდეა!

ამის შესახებ ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე განაცხადა.

მისივე თქმით, აუცილებლად დადგება ის დღე, როდესაც ჩვენი ქვეყანა გახდება ნატოს წევრი, მაგრამ იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ნატო წევრი, აუცილებელია, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს კანონის უზენაესობა და დასრულდეს შერჩევითი სამართალი.

– მე მინდა მივმართო იმ ადამიანებს, ვინც ახლა ტელევიზორიდან გვიყურებს, ვინც ფიქრობს, რომ შეიძლება ვერ ხედავდეს ნათელ კავშირს, რა კავშირია თუნდაც ლარის კურსს, ეკონომიკურ განვითარებას, ხელფასებს, უმუშევრობას და კანონის უზენაესობას შორის. შეუძლებელია ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა აწარმოო, შეუძლებელია ქვეყანა გამდიდრდეს, თუ არ არსებობს კანონის უზენაესობა.

უფრო მეტიც, ერთადერთი საექსპორტო პროდუქტი, რომლითაც გამდიდრდა უკლებლივ ყველა დღეს უკვე მდიდარი ქვეყანა, ეს არის თავისუფლება, თავისუფალი სასამართლო, კანონის უზენაესობა, თანასწორობა თითოეული მოქალაქის კანონის წინაშე.

შეუძლებელია,ს ხალხის წინაშე არაანგარიშვალდებულმა მოხელეებმა და პოლიტიკოსებმა შეძლონ წარმატების მიღწევა.

ჩვენ გვინდა ქვეყანა, სადაც თავისუფლების იდეა იქნება ჩვენი მთავარი საექსპორტო პროდუქტი. ეს ყველაფერი აუცილებლად მოვა იმიტომ, რომ შეუძლებელია, დამარცხდეს თავისუფლების იდეა, შეუძლებელია დამარცხდეს იდეა, რომლისთვისაც უკვე ამდენი დღეა ამდენი ადამიანი მართავს აქციებს და გაცილებით მეტი გულშემატკივრობს ცისფერი ეკრანებიდან“, – განაცხადა ქადაგიძემ.

მისივე თქმით, ბრძოლა იქნება ხანგრძლივი.

– აუცილებლად გავიმარჯვებთ. ეს გამარჯვება არის ბრძოლა, ცხადია, კონსტიტუციურ ფარგლებში, მაგრამ ეს ბრძოლა არის ხანგრძლივი და ჩვენ არ გვაქვს უფლება, ამ ბრძოლაში უკან დავიხიოთ, მივატოვოთ ეს ქვეყანა, იმიტომ, რომ ეს ქვეყანა არ არის არც ბიძინა ივანიშვილის, არც „ქართული ოცნებისა“ და არც სხვა პოლიტიკური ჯგუფების მხარდამჭერების. ეს ქვეყანა არის თითოეული ჩვენგანის და თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ავაშენოთ, – განაცხადა ქადაგიძემ.

**IPN**

# OMEGA ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს პასუხობს

Omega ჯგუფი იუსტიციის სამინისტროს პასუხობს და განცხადებას ავრცელებს. კომპანია ეხმაურება იუსტიციის სამინისტროს განცხადებას, სადაც უწყება აღნიშნავდა, რომ კომპანიის დამფუძნებელ ზაზა ოქუაშვილის მოთხოვნა საარბიტრაჟო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. გთავაზობთ კომპანიის განცხადებას უცვლელად:

ვეხმიანებით იუსტიციის სამინისტროს მიერ 26 ივლისს გავრცელებულ განცხადებას.

განვმარტავთ, რომ როგორც პირველი, ასევე მეორე საგანგებო არბიტრაჟის დროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პოზიცია იყო, რომ ბრიტანეთისა და საქართველოს საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით დავის განხილვის ექსკლუზიური იურისდიქცია გააჩნია საინვესტიციო დავების საერთაშორისო ცენტრს და არა სტოკჰოლმის არბიტრაჟს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეს პოზიცია საფუძველშივე უარყო როგორც პირველმა, ასევე მეორე საგანგებო არბიტრმა.

ამგვარად, მიუხედავად პირველი და მეორე არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განსხვავებული სარეზოლუციო ნაწილისა, ორივე საგანგებო არბიტრმა დაუსაბუთებლად მიიჩნია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პროტესტი იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით, რაც რა თქმა უნდა კიდევ მეტად აძლიერებს ზაზა ოქუაშვილის პოზიციებს ძირითად ტრიბუნალში.

მეორე საგანგებო არბიტრის შეხედულებით, პირველი საგანგებო არბიტრის გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს მხარეს აღარ განუხორციელებია იმგვარი ქმედება, რაც ზაზა ოქუაშვილის ინვესტიციებს საფრთხეს შეუქმნიდა. სწორედ ამის გამო, მეორე საგანგებო არბიტრმა ვერ დაინახა საქართველოსთვის დაწესებული აკრძალვის დამატებით გაგრძელების გადაუდებელი აუცილებლობა.

საგანგებო არბიტრის 19 ივლისის გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთგვარ გამაფრთხილებელ სიგნალს საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ კი საქართველოს მხარე კვლავ განახორციელებს ზაზა ოქუაშვილის ინვესტიციების ხელყოფისაკენ მიმართულ საფრთხის შემცველ ქმედებებს, სათანადო იურისდიქციისა და კომპეტენციის მქონე სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო ტრიბუნალს შეუძლია ნებისმიერ დროს დაუწესოს საქართველოს მხარეს აკრძალვა და კვლავ დაიცვას ზაზა ოქუაშვილის ინვესტიციები სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფისაგან, – ნათქვამია განცხადებაში.

**BMG**

# ქობულიას მტკიცებით, ანაკლიის პორტის კომერციული მომგებიანობის ანალიზი არ არსებობს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის გიორგი ქობულიას მტკიცებით, ანაკლიის პორტის კომერციული მომგებიანობის ანალიზი არ არსებობს.



ამის შესახებ ქობულიამ bm.ge-ისთან ვრცელ ინტერვიუში განაცხადა.

– მე ვფიქრობ, რომ ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც კონსორციუმმა ჯერ ვერ მოიზიდა საკუთარი სახსრები“, – აღნიშნა ქობულიამ.

ის ირწმუნება, რომ ანაკლიის პორტის კომერციული მომგებიანობის ანალიზის თაობაზე დოკუმენტი ვერც მთავრობაში მოიძია და ვერც – ანაკლიის განვითარების კონსორციუმში.

***– კონსორციუმთან არ გქონიათ კომუნიკაცია? მაგალითად, იმავე მამუკა ხაზარაძესთან?***

– რა თქმა უნდა, მრავალჯერ მქონია და არაერთხელ. ეს დოკუმენტი მე ვერ ვნახე და როცა ლაპარაკია იმაზე, რომ ბევრი კვლევაა გაკეთებული ვითომ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, შეიძლება, ბევრი კვლევა იყო გაკეთებული, მაგრამ კომერციული მომგებიანობის შესახებ – არა...

***– ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავასაც აქვს ნათქვამი, რომ არაერთი კვლევაა ჩატარებული...***

– კი ბატონო, მე მაგალითს მოგიყვანთ, რა კვლევებზეა საუბარი; მაგალითად, ლაპარაკია იმაზე, რომ გამოვიკვლიოთ გეოლოგიური პირობები შავი ზღვის სანაპიროზე საქართველოში და ავირჩიოთ ის ადგილი, სადაც არის საუკეთესო გეოლოგიური პირობები, რომ პორტი შევქმნათ. ასეთი კვლევა შეიძლება იყო, მაგრამ აქ ლაპარაკი არაა გეოლოგიურ კვლევებზე, მე რაზეც ვლაპარაკობ ესაა კომერციული ბიზნესმომგებიანობის შესახებ კვლევა. კონკრეტულად ავხსნი, რაზეა საუბარი – მე მაინტერესებდა, ამ პორტმა რომელ სხვა ლოგისტიკურ მარშრუტებს შეიძლება მოუგოს კონკურენციაში და – რატომ. იგივე აქ არის ლაპარაკი ამ პორტში ტვირთების გადაზიდვაზე ევროპასა და აზიას შორის. აზიიდან ტვირთები შეიძლება წამოვიდეს ანაკლიის პორტით ან შეიძლება აზიის შიგნით, ჩინეთში დაიტვირთოს გემი, საერთოდ შემოუაროს კონტინენტს და შემოვიდეს პირდაპირ ევროპის პორტებში. ხომ შეიძლება მოხდეს ასე? მაგრამ იმას, ხომ უფრო დიდი ხანი სჭირდება – 30 დღე; აქედან (იგულისხმება ანაკლიის პორტი) შეიძლება უფრო სწრაფად გაიტანოს. ასეთი შედარებითი ანალიზი, რომელ ალტერნატიული ლოგისტიკურ გზებს მოუგებს ანაკლიის მარშრუტი და რატომ მოუგებს, ეს ვერ დავინახე ვერც მე და ვერც ბანკებმა, რომლებმაც უნდა დააფინანსონ ეს პორტი და რადგან ვერ დაინახეს, ამიტომ მოითხოვეს სახელმწიფო გარანტიები ზუსტად ტვირთბრუნვებზე, რაც ნიშნავს სახელმწიფო გარანტიებს სესხების გადახდაზე.

**BMG**

# „შესყიდვების სააგენტოს შავი სია ფიქცია გახდა“

შესყიდვების სააგენტოს შავი სია ფიქცია გახდა.

ამის შესახებ იურიდიული ფირმა „ნიაური და პარტნიორების“ დირექტორმა ბადრი ნიუარმა Business Media Lunch-ის ფარგლებში განაცხადა, სადაც სახელმწიფო ტენდერებზე მსჯელობდნენ.



– შავი სიის მიმართ 2012 წელს სახელმწიფომ ლოიალობა გამოიჩინა. თუკი კომპანიას ამა თუ იმ ფორმით ეკუთვნოდა გაფრთხილება, მხოლოდ გაფრთხილებულთა სიაში უშვებდნენ. ახლა პირდაპირ შავ სიაში მიექანებიან კომპანიები. თუმცა, მაინც ახერხებენ კომპანიები და პოულობენ გამოსავალს – ამხანაგობის ფორმით, გამოცდილების გაზიარებით, სხვადასხვა კომპანიის შექმნით – მონაწილეობენ ტენდერებში. სწორედ ამიტომ შავი სია გახდა ფიქცია.

კიდევ ერთი პრობლემა – ეს არის დემპინგი ტენდერებში. ეს ყველას უნდა აწუხებდეს საკანონმდებლო დონეზე, როგორც შემსყიდველებს, ასევე მიმწოდებლებს. არსებობენ კომპანიები, რომლებიც იმდენად უძლურდებიან გარკვეული ტენდერების შემდეგ, რომ ოღონდ ახალი ფინანსები მოიზიდონ და 20%-ით, 40%-ით, განსაკუთრებით აუდიტორულ საქმიანობაში შეიმჩნევა ხოლმე, 60%-70%-თაც კი ამცირებენ ფასს. აქ ისმის კითხვა – ან ფასია იმთავითვე არასწორად დადებული ტენდერში და მაშინ ძალიან ცუდად გვქონია საქმე, ან საქმე გვაქვს იმასთან, რომ ოღონდ ეს ტენდერი მოიგოს კომპანიამ, მზად არიან, კლასიკური გაგებით პირამიდა ააწყონ და გადაირჩინონ თავი, – აცხადებს ბადრი ნიაური.

მისივე შეფასებით, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სახელმწიფო უწყებებში ინიციატივა არის დასჯადი.

– მაღალჩინოსნის მიერ თამაშის წესებში ახალი დათქმების შემოტანა ყოველთვის არის დასჯადი იმიტომ, რომ მაშინვე ჩნდება კითხვა, რატომ? ხომ არ არის აქ კერძო ინტერესი და ა.შ. და არიან საკუთარი ჩრდილის ქვეშ და ეშინიათ გადაწყვეტილების მიღების, – ამბობს ბადრი ნიაური.

**BMG**

# ირაკლი ოქრუაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

27 ივლისს თავდაცვის ყოფილი მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს, ასევე აქციაზე დაკავებულ პირებს – გიორგი ჯავახიშვილსა და თორნიკე დათაშვილს – აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მაკა გველესიანმა გამოაცხადა.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე დაკავებულებისთვის პატიმრობის შეფარდებას, დაცვის მხარე კი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

კერძოდ კი, გიორგი ჯავახიშვილის ადვოკატი 3.000 ლარიანი გირაოს, თორნიკე დათაშვილის ადვოკატი მისი მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას, ოქრუაშვილის ადვოკატი კი 10.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

აქციის მონაწილეებს ბრალი ოფიციალურად 26 ივლისს წარედგინათ, ირაკლი ოქრუაშვილს კი – 27 ივლისს.

მისი ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის, განცხადებით, საქმეში არსებულ მტკიცებულებებში, იმ ვიდეომასალის გარდა, რასაც ბრალდება ეყრდნობა, მხოლოდ პოლიციისა და სპეცრაზმელთა ჩვენებებია. ოქრუაშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.



ირაკლი ოქრუაშვილი 25 ივლისს, 20-21 ივნისის მოვლენების საქმეზე დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ირაკლი ოქრუაშვილი და დანარჩენი პირები, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობას გულისხმობს. გამოძიების ინფორმაციით, პარლამენტის შენობაზე მიტანილი ძალადობრივი შტურმის დროს, ირაკლი ოქრუაშვილი, თანმხლებ პირებთან ერთად, მოუწოდებდა აქციის მონაწილეებს და თავადაც ცდილობდა პარლამენტის შენობაში ძალადობრივ შეჭრას. 20-21 ივნისის მოვლენების საქმეზე სულ 19 პირია დაკავებული.

27 ივლისს, საღამოს, ირაკლი ოქრუაშვილი მატროსოვის ციხეში გადაიყვანეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა განუცხადა.

# „ინსტინქტურად ჩავარტყი დანა ყელის არეში“

## გიორგი ხანდოლიშვილს სვეტა ამოევას მკვლელობისთვის 14 წელი მიესაჯა

თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, დიასახლის სვეტა ამოევას მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ხანდოლიშვილის საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი გამოიტანეს.




რამდენიმესაათიანი თათბირის შემდეგ ნაფიცი მსაჯულების უმრავლესობამ გიორგი ხანდოლიშვილის მკვლელობის საქმეში დამნაშავედ ცნეს. ამის შემდეგ კი მოსამართლემ ხანდოლიშვილის სასჯელის ზომად 14 წელი შეუფარდა.

მსჯავრდებული გიორგი ხანდოლიშვილი კი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და 27 ნოემბრის სისხლიან ღამეს იხსენებს.

– სვეტა შემოვიდა ჩემთან და საწოლზე ჩამოჯდა. მითხრა, რომ ჩემთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარება სურდა, რაზეც დავთანხმდი. მოგვიანებით ქალი აგრესიული გახდა. მარცხენა სათესლე ჯირკვალზე ვიგრძენი ძლიერი ტკივილი და ვთხოვე, ხელი გაეშვა, მაგრამ პასუხი არ გამცა და გააგრძელა მოჭერა.

იძულებული გავხდი, მეცემა. ბრძოლისას ორივენი გადავვარდით იატაკზე. ამ დროს დავინახე თეთრტარიანი დანა, რომლითაც სვეტა თუთიყუშებს უჭრიდა ხილს. ასევე დავინახე, რომ მარჯვენა ხელში ეჭირა ჩემი სხეულიდან გამოგლეჯილი სათესლე ჯირკვალი. ინსტინქტურად ჩავარტყი დანა ყელის არეში, – ამბობს ხანდოლიშვილი.

მკვლელობა გასული წლის 27 ნოემბერს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მოხდა. 25 წლის მდგმურმა ბინის დიასახლისი, 45 წლის სვეტლანა ამოევი, ცივი იარაღით მოკლა.

მკვლელობაში ბრალდებული დედასთან ერთად გირაობდა სამოთახიან ბინაში ერთ ოთახს და დიასახლისიც მათთან ერთად ცხოვრობდა.

ბრალდების მხარემ სასამართლო პროცესზე გ.ხ.-ს მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენა დაადასტურა უტყუარი, ურთიერთშეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით.

პროკურორებმა წარადგინეს და დაკითხეს ათობით მოწმე, გამოიკვლიეს ექსპერტიზის დასკვნები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილი არაერთი ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური კვალი, მათ შორის ბრალდებულის დნმ.

მათი ერთობლიობით უტყუარად დადასტურდა, რომ 2018 წლის 26 ნოემბერს ბრალდებულმა გ.ხ.-მ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ს.ა.-ს ყელისა და გულმკერდის არეში დანით მიაყენა 7 ჭრილობა, რის შედეგადაც ს.ა. ადგილზე გარდაიცვალა.

# ტრაგედია თუშეთის გზაზე

## სატვირთო მანქანა მგზავრებიანად ხევში გადავარდა

27 ივლისს უბედური შემთხვევა მოხდა თუშეთის გზაზე. 23-ე კილომეტრზე კამაზის ტიპის მანქანა დაახლოებით 400 მეტრი სიმაღლიდან გადავარდა.

სატვირთო მანქანაზე 12 ადამიანი იმყოფებოდა. 5-მა გადმოხტომა მოასწრო, დანარჩენები კი ხევში მანქანამ ჩაიყოლა.

სატვირთო მანქანაზე მსხდომი ადამიანები ქვემო ალვანიდან არიან. ისინი თუშეთობის დღესასწაულზე დასასწრებად სოფელ ომალოში მიემგზავრებოდნენ.

27 ივლისს, საღამოს, გავრცელდა შსს-ს ინფორმაცია, რომლის მიხედვით, თუშეთში ავარიის შედეგად დაიღუპა 5 ადამიანი, მათ შორის, 1 არასრულწლოვანია. შემთხვევის დროს დაშავებული 3 მოქალაქე ხევიდან უსაფრთხოდ ამოიყვანეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა მიმდინარე წლის 27 ივლისს, თელავის რაიონში, ფშაველი-ომალოს დამაკავშირებელი გზის მე-20 კილომეტრზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავებული 3 მოქალაქე ხევიდან უსაფრთხოდ ამოიყვანეს. ამ დროისთვის სამივე მათგანი საავადმყოფოშია გადაყვანილი. სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო სულ 5-მა ადამიანმა.

სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით შემთხვევის ადგილზე საგანგებო სიტუაციების სამსახურის სწრაფი რეაგირების ჯგუფები და მედიკოსები თბილისიდან ჩავიდნენ.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილია 5 ადამიანი, მათ შორის, 1 არასრულწლოვანია.

შემთხვევის ადგილზე მთელი ღამის განმავლობაში დარჩებიან სამაშველო ჯგუფები, რომლებიც გათენებისთანავე გააგრძელებენ სამძებრო-სამაშველო ღონისძიებებს.

გამოძიების პირველადი ინფორმაციით, ომალოს მიმართულებით მოძრავი „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა, გზიდან გადავიდა და ხევში გადავარდა. საქმესთან დაკავშირებით დაინიშნება შესაბამისი ექსპერტიზები.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიება სსკ-ს 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“, – ნათქვამია შს-ს განცხადებაში.

დაღუპულებს შორის ერთი ოჯახის სამი წევრია – მამა შალვა შაბალაიძე და მისი ორი შვილი, გაგა და ლევან შაბალაიძეები. გაგა შაბალაიძე არასრულწლოვანია.



დაღუპულია 6 ადამიანი

ასევე დაღუპულია სატვირთოს მძღოლი ზაურ გიგოიძე.

ტრაგედიას იხსენებენ დაშავებული მოქალაქეების ახლობლები, რომლებიც ამბობენ, რომ სატვირთო ავტომობილი გზაზე დაგორდა და ხევში გადავარდა.

– მანქანის გაუმართაობას ბრალდება თითქოს ყველაფერი. ზოგი გადმოცვივდა, ერთმა მოასწრო გადმოხტომა და დანარჩენები გადაჰყვნენ თან. პირველად წავიდა მაგ მანქანით და, ეტყობა, არ იყო კარგად გამართული. ეტყობა, ცუდი ასასვლელი ყოფილა და იქ ვერ გადასულა, დააგორა უკან. ვინც მოასწრო, გადმოცვივდნენ, ვინც არადა, ჩაჰყვა თან, – ამბობს ერთ-ერთი დაშავებულის ახლობელი.

გუშინ, 28 ივლისს, მაშველებმა ტრაგედიის ადგილზე კიდევ 1 დაღუპულის ცხედარი იპოვეს, 1 დაკარგულის ძებნა კი გაგრძელდა.

– ჯერ ერთი ძმისშვილი მომისვენეს, ახლა ძმაზე მითხრეს, რომ სამაშველო სამსახურმა იპოვაო, გურჯაანის პროზექტურაში გადაასვენეს და შუათანა ბავშვს, ლევანს ეძებს სამაშველო სამსახური. რას იზამენ, არ ვიცი.

ჯერ ერთი, გზების გაუმართაობა, მეორე, ალბათ, მანქანის გაუმართაობა და მძღოლის შეცდომა. აბა, რა იქნებოდა სხვა იქ, – ამბობს ერთი-ერთი დაღუპულის ძმა.

2 დაშავებული უკვე სახლში გაწერეს.

– ვერაფერი ვერ გავარკვიეთ, უცებ მოხდა წამებში. გადავარდა, ვინც მოვასწარით გადმოხტომა მოვასწარით, ვინც არა და დაიღუპა. არაფერი არ მახსოვს, ისიც არ მახსოვს, როგორ გადმოვხტი. მანქანა გამართული იყო, რკინაა, შეიძლება, რამე გაუტყდა, მე ხომ არ ვიცი. დაგორდა და გადავარდა, – ამბობს ერთ-ერთი დაშავებული.

# რომან კაკულია: „ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეში დანაშაულს ვხედავ“



– მაღალი ხარისხით მაქვს ეჭვი, რომ დანაშაული იყო ჩადენილი.

ამის შესახებ დეპუტატმა რომან კაკულიამ „ინტერპრესნიუსს“ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას განაცხადა.

– მაღალი ხარისხით მაქვს ეჭვი, რომ დანაშაული იყო ჩადენილი, როდესაც გადასახადების გადახდა არ ჩანს, ყოველთვის არ არის საქმე სწორად. ასევე დიდი იმედი მაქვს, რომ ის კვალიფიკაცია, რომელიც იქნა დასახელებული პროკურატურის მიერ, იყო გააზრებულად და სიღრმისეულად შესწავლის შედეგად. საქმის დეტალები რადგანაც არ ვიცი, ვერ გეტყვით, რამდენად ადეკვატური იყო ეს, მაგრამ კარგია, რომ გამოვიდნენ და ასეთი გადაწყვეტილება იყო მიღებული. რაც შეეხება ქართული კომპანიების აქციების დაცემას, რა თქმა უნდა, ჩვენი მასშტაბის ეკონომიკაზე ეს გავლენას მოახდენს, მაგრამ ამის გამო საქმის არწარმოება არასწორია. ეს უბრალოდ, სამწუხარო თანმდევი პროცესია, რომელიც სამწუხარო ფაქტს ახლავს თან, – განუცხადა კაკულიამ „ინტერპრესნიუსს“.

მანვე აღნიშნა, რომ ყველაფრის ბიძინა ივანიშვილისთვის გადაბრალება ტენდენციად არის ქცეული.

– საქართველოში ეს ტენდენციაა – ყველაფერი დაბრალდეს ბიძინა ივანიშვილს, ყველაფერს დაერქვას პოლიტიკური მოტივაცია. საერთოდ, არაფერი იმალება და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ კანონზომიერად მიდის ძალიან ბევრი რამ, – განაცხადა დეპუტატმა.

# საბერძნეთის ციხეში რუსმა პატიმარმა ქართველი პატიმარი ცემით მოკლა

საბერძნეთის ციხეში რუსმა პატიმარმა ქართველი პატიმარი ცემით მოკლა.



ორივე პატიმარი სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა.

მათი დაპირისპირების მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

შემთხვევა შაბათს ნიგრიტას ციხეში მოხდა, დაშავებული ქართველი პატიმარი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

# ურეკში მშენებარე სასტუმროდან 2 მუშა გადმოვარდა

## 1 ადგილზე დაიღუპა




ურეკში, კაპროვანის დასახლებაში, მშენებარე სასტუმროდან 2 მუშა გადმოვარდა. 1 ადგილზე დაიღუპა, მეორე კი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ფოთის ჰოსპიტალში გადაიყვანა.

– სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადები მივიდნენ გამოძახებაზე, თუმცა 60 წლამდე მამაკაცი უკვე გარდაცვლილი იყო, მეორე მამაკაცს კი აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის ტრავმული დაზიანება, რაც სიცოცხლესთან შეუთავსებელი არ იყო. ის ბრიგადამ ფოთის ჰოსპიტალში გადმოიყვანა, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ფოთის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მენეჯერმა კესო გელენიძემ.

მომხდარ შემთხვევაზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სამთო-სამშენებლო ან სხვა სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# მოსკოვში ხელისუფლებამ ოპოზიციის აქცია სასტიკად დაარბია

## ნავალნი საავადმყოფოში გადაიყვანეს

მოსკოვში საპროტესტო აქციები არ ცხრება. საქალაქო საბჭოს არჩევნებში ოპოზიციის ლიდერთა არდაშვებამ ხალხი აღაშფოთა. 27 ივლისს ქუჩებში მოსკოვისთვის ხალხის უმაგალითო ოდენობა, 22.000, გამოვიდა.

ამან ხელისუფლება შეაშფოთა. მოსკოვის მერმა სობიანინმა ტელევიზიით განაცხადა:

– აქციები მოსკოვში მტრული ძალების მიერ არის მოწყობილი. მათი მიზანი კიევის მსგავსი მაიდანის მოწყობა და ქაოსის ორგანიზებაა!

ამრიგად, ხელისუფლებამ კვლავ ნაცად მეთოდს მიმართა. ქვეყანაში კრიზისი მან გარეშე ძალებს – ამერიკულ იმპერიალიზმს, ბანდერელებსა და ა.შ. – გადააბრალა.

– უცხო ძალები გვიტევენ! რუსებო, გაერთიანდეთ, რა დროს დემოკრატიაა! – აქამდე ეს ლოზუნგი უშეცდომოდ მუშაობდა. ახლა ისე აღარ მუშაობს.

მანიფესტანტთა რაოდენობაც დღითიდღე იზრდებოდა. შედეგად ხელისუფლებამ ძალას მიმართა.

მოსკოვის მერიასთან შეკრებილ ხალხს მერმა სობიანინმა მიმართა. მან კვლავ გაიხსენა ექსტრემისტები, რომლებსაც რუსეთის დაშლა სურთ.

მის შემდეგ როსგვარდიამ მანიფესტანტების დარბევა დაიწყო.

აქცია ჯერ არ იყო დაწყებული. შეკრებილი ხალხის საქციელშიც ექსტრემისტული არაფერი იყო.

როსგვარდია განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედებდა.



მანიფესტანტებს დაუნდობლად სცემდნენ. დაზარალებულთა შორის მოხვდნენ დეპუტატები, ჟურნალისტები, უბრალოდ, გამვლელები, რომლებიც იქ შემთხვევით მოხვდნენ. დაიწყო მანიფესტანტების მასობრივი დაკავებები.

სულ დაკავებულია 1.355 ადამიანი. აქედან ნახევარი არასრულწლოვანია. მრავალი მანიფესტანტი მხეცურად ცემეს. დემონსტრანტებმაც დაიწყეს სკანდირება:

– პუტინ ხუ--ლო!

პასუხად როსგვარდიამ დემონსტრანტებს სამსახურის ძაღლები მიუქსია. გვარდიელებმა მერიის შენობის მახლობელი ტერიტორიიდან მანიფესტანტთა განდევნა შეძლეს.

დაკავებულთა შორის არიან რუსული დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის დირექტორი დიმიტრი გუდკოვი, მოსკოვის ქალაქის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი იულია გალიაკინა.

ექსპერტების აზრით, როსგვარდიელთა სისასტიკე შემთხვევითი არ არის. ომებმა და დასავლეთის სანქციებმა ხალხის ცხოვრების დონე დაბლა დასწია. მოთმინების ფიალაც ივსება. მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. ხელისუფლება ცდილობს, მას სასტიკად გაუსწორდეს, რათა „ბუნტი" გულშიც არავინ გაივლოს.

გუშინ, 28 ივლისს, ოპოზიციის ლიდერი ალექსეი ნავალნი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ერთთვიანი პატიმრობა მიესაჯა, ციხიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მისი პრესსპიკერის განცხადებით, ამის მიზეზი ალერგიული რეაქცია გახდა. მისივე თქმით, ნავალნის სახე გაუწითლდა და დაუსივდა.

ოპოზიციონერის პრესსპიკერი აცხადებს, რომ უცნობია, თუ რამ გამოიწვია ალერგიული რეაქცია. მსგავსი რამ ადრე მას არასოდეს მოსვლია.

ძალისმიერი მეთოდებით ძალაუფლების შენარჩუნება დიდხანს ვერ მოხერხდება. რუსეთი მეზობელ ქვეყნებში (საქართველო, უკრაინა) ქაოსის დანერგვას ცდილობდა. ახლა დიდი ქაოსი უკვე თავად რუსეთს ემუქრება.

ევროკავშირმა მოსკოვში მშვიდობიანი მოქალაქეების დაკავება დაგმო.

როგორც ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამსახურის პრესსპიკერ მაია კოსიანჩიჩის განცხადებაშია აღნიშნული, ევროპა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, პატივი სცეს ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებულ ვალდებულებებს და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ამის მიხედვით ჩაატაროს.

– მოსკოვში 1000-ზე მეტი მშვიდობიანი დემონსტრანტი დააკავეს, მათ შორის ცნობილი ოპოზიციონერები და ჟურნალისტები. ისინი თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებს ითხოვდნენ.

მოსკოვში დაკავებები და მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის არაპროპორციულად გამოყენება კიდევ ერთხელ სერიოზულად უთხრის ძირს გამოხატვისა და შეკრებების ფუნდამენტურ თავისუფლებებს.

ეს ფუნდამენტური უფლებები უზრუნველყოფილია რუსეთის კონსტიტუციით და ჩვენ ველოდებით, რომ მათ დაიცავენ, – წერია მაია კოსიანჩიჩის განცხადებაში.

## კურტ ვოლკერი: „ტრამპი, შესაძლოა, უკრაინას ესტუმროს"



აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი დონბასის კონფლიქტის მოგვარების საკითხში კურტ ვოლკერი უკრაინას ესტუმრა. ის შეხვდა ექსპრეზიდენტს, ამჟამად კი ერთ-ერთი ოპოზიციური ფრაქციის ლიდერ პეტრო პოროშენკოსა და პატრიოტული ოპოზიციის მეორე ლიდერ იულია ტიმოშენკოს.

შემდეგ ვოლკერი დონბასისაკენ გაემართა. ის გავიდა პოზიციებზე, მოინახულა სტანიცა ლუგანსკაია, ესაუბრა უკრაინის ჯარისკაცებს და ა.შ.

დონბასიდან დაბრუნებულმა ვოლკერმა კიევში პრესკონფერენცია გამართა. მან თქვა, რომ დონბასის ომი უნდა დამთავრდეს. უკრაინა საამისოდ ყველაფერს აკეთებს. მეტიც, კიევმა უკვე კონკრეტული წინადადებებიც წამოაყენა. სამწუხაროდ, რუსეთი შესაბამისად არ იქცევა.

– მოსკოვი მოვალეა, ომის შესაჩერებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგას, – თქვა ვოლკერმა.

ამერიკელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ უკვე დასრულებულია ვლადიმერ ზელენსკის ვაშინგტონში ვიზიტისთვის აუცილებელი სამზადისი. ზელენსკი აშშ-ში ოფიციალურად დაპატიჟეს.

ვოლკერმა არ გამორიცხა, რომ ახლო მომავალში, შესაძლოა, უკრაინას ტრამპიც ეწვიოს.

– შესაძლოა, ახლო მომავალში ბატონი ტრამპი უკრაინაში ჩამოვიდეს! – თქვა ვოლკერმა.

## პუტინი საფრანგეთში ჩავა

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თავის ფრანგ კოლეგა ემანუელ მაკრონს დაუკავშირდა.



პრეზიდენტებმა საკითხების ფართო სპექტრი განიხილეს, მათ შორის დონბასის პრობლემაც.

მაკრონმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკვე 19 აგვისტოს ვლადიმერ პუტინი საფრანგეთს ეწვევა.

– სავარაუდოდ, მას ჩვენი ქვეყნის სამხრეთის რომელიმე ქალაქში მივიღებ! – თქვა მაკრონმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### ლეოპარდმა მძინარე მამაკაცი გაიტაცა და ფეხი მოაჭამა

ინდოეთის რაჯასტხანის შტატში ლეოპარდმა სახლში შეაღწია და 40 წლის მამაკაცი მოკლა.

ინციდენტი დილით ადრე მოხდა. მტაცებელი თავს დაესხა ინდოელს, რომელსაც სახლის ღია ნაწილში ეძინა, კბილები ყელში ჩაასო და ტყისკენ წაათრია. მამაკაცის ნათესავების ყვირილზე სოფლის მცხოვრებლები მიცვივდნენ. ისინი მეზობლის მოსაძებნად გაემართნენ და მისი სხეული სახლიდან 90 მეტრში იპოვეს. ლეოპარდმა მისთვის ფეხის მოჭმა მოასწრო და შემდეგ ტყეს შეაფარა თავი.



შემთხვევის ადგილზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. შეშინებული ხალხი ფიქრობდა, რომ ლეოპარდი სოფელში დაბრუნდებოდა და მათ დახოცვას გააგრძელებდა. მათ მოითხოვეს, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ დაიჭიროს კაციჭამია მტაცებელი. სატყეო მეურნეობის წარმომადგენლები ხალხის დამშვიდებას შეეცადნენ.

დაღუპულის სოფლისა და კიდევ სამი მეზობელი დასახლების შემოგარენში ხაფანგები დააგეს და გარეული ცხოველების დაჭერის სპეციალისტები განათავსეს, რომლებიც ტრანკვილიზატორებით არიან შეიარაღებულნი. ისინი იქ ლეოპარდის დაჭერამდე დარჩებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# 18 წლამდე ნაკრებმა ევროპა კარგად დაიწყო

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონი. თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა სადებიუტო მატჩში სლოვაკეთის ნაკრები გაანადგურა – 80:45.



მართალია, პირველი ნახევრის უმეტეს დროს თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და რამდენიმეჯერ სლოვაკებიც დაწინაურდნენ, თუმცა დიდი შესვენების შემდეგ მატჩს ერთი დომინანტი ჰყავდა – საქართველოს ნაკრები, რომელმაც ჩინებულად ჩატარებული მე-3 მეოთხედის შემდეგ მეტოქე წასაგებად გაწირა.

მატჩის მე-15 წუთისთვის სლოვაკები 3 ქულით წინ იყვნენ, რაც ჩვენი კალათბურთელების უზუსტო სროლების გამო მოხდა. ქართველები ძალიან ბევრ 3-ქულიანს აცილებდნენ და ვერც ფარქვეშიდან ითვლიდნენ ჩასაგდებ ბურთებს. ვითარება მეორე პერიოდის დასკვნით წუთებზე შეიცვალა, როცა ჩვენებმა სამიზნე გაისწორეს და დიდ შესვენებაზე 6-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 32:26.

მესამე პერიოდში ყველაფერს წერტილი დაესვა. საქართველომ 27:5 მოიგო ათწუთეული და ბოლო მეოთხედის წინ 28-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა – 59:31. მატჩის ბედი გადაწყვეტილი გახლდათ და ბოლო პერიოდში საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა, რომელიც სლოვაკებისთვის გამანადგურებელი გახლდათ – 45:80.

საქართველოს ნაკრებში 16 ქულით, 7 პასით და 6 ჩაჭრით საუკეთესო იყო რატი ანდრონიკაშვილი. 6-დან 6 ორქულიანი, მთლიანობაში კი 15 ქულა მიითვალა ალექსანდრე მერკვილაძემ. 13 ქულა დააგროვა ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა.

თემურ კანკიას გაწვრთნილმა გუნდმა მე-2 გამარჯვება დანიასთან მოიპოვა. ქართველებმა მეტოქე 45 ქულით – 85:40 დაამარცხეს. საქართველოს ნაკრები 2-დან 2 გამარჯვებით ბ დივიზიონის ბ ჯგუფში ლიდერობს და წინ უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის – ქართველები ასევე 2 გამარჯვების მქონე ჩრდილოეთ მაკედონიას ხვდებიან და გამარჯვებული ჯგუფში ერთპიროვნულად ხომ გალიდერდება და, ფაქტობრივად, ფლეი ოფში გასვლის საგზურს გაინაღდებს.

დანიასთან მატჩი იყო ერთგვარი გასეირნება ქართველებისთვის. 45 ქულით მოგებულ მატჩს რომ მწვრთნელი სათავისოდ, გუნდის შესათამაშებლად გამოიყენებდა, რა თქმა უნდა და ასეც მოხდა. პირველი ნახევრის შემდეგ სკანდინავიელებს კიდევ ჰქონდათ შანსი – მხოლოდ 12 ქულით აგებდნენ, თუმცა მესამე პერიოდში ქართველებმა მეტოქეს, რომ იტყვიან, შანსი არ დაუტოვეს და დასკვნითი 10-წუთეულის წინ 27 ქულით დაწინაურდნენ.

საბოლოოდ ქართველებმა გამანადგურებელი სხვაობით მოიგეს და ერთადერთი, რაც ცუდი მოხდა, საბა გიგიბერიას ტრავმა გახლდათ. მატჩის ბოლო წუთებზე ჩვენი გუნდის ყველაზე ტანმაღალმა კალათბურთელმა ფეხი ამოიბრუნა და მოედანი დატოვა. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, როდის შეძლებს საბა თამაშს. ექიმების პასუხი დღეს გახდება ცნობილი.

არადა, გიგიბერია მატჩის ყველაზე სარგებლიანი მოთამაშე გახლდათ – 15 წუთში მან 12 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა და მთავარი – საბამ 6-დან 6 ორქულიანი ჩააგდო. მისმა სარგებლიანობის ინდექსმა მატჩში 20 ერთეული შეადგინა. ამ მხრივ შემდეგია რატი ანდრონიკაშვილი, რომელმაც 14 ქულა, 4 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა 13 წუთში 15 ქულა და 3 ჩაჭრა მოაგროვა. რაც მთავარია, გაფრინდაშვილმა 5 სამქულიანი ჩააგდო. ტურნირის 2 მატჩში მის ანგარიშზე 8 სამქულიანია.

# ბორჯღალოსნებმა ანტალიაში გადაინაცვლეს

ბორჯღალოსნები 2019 წლის იაპონიის მსოფლიო თასისთვის მზადებას განაგრძობენ და 18-დღიან შეკრებაზე თურქეთში, ანტალიაში გაემგზავრნენ.



პირველი შეკრების შემდეგ, რომელიც დიდი 10-ის კლუბების მორაგბეებმა და რამდენიმე ლეგიონერმა გაიარეს, გაფართოებულ შემადგენლობას 4 მორაგბე გამოაკლდა – ლაშა ტაბიძე, საბა შუბითიძე, ბექა ბიწაძე და რევაზ ჯინჭველაშვილი.

დანარჩენი მოთამაშეები ანტალიაში 9 აგვისტომდე დარჩებიან. მწვრთნელები და მორაგბეები უმაღლესი დონის სპორტულ ბაზაზე არსებული პირობებით კმაყოფილნი არიან და ერთხმად აღნიშნავენ, რომ ნაკრებს მოსამზადებლად მსგავს პირობები აქამდე არასდროს ჰქონია.

მზადება ინტენსიურია და ბორჯღალოსნებს დღეში რამდენიმე ვარჯიში აქვთ, შუალედებში კი ვიდეოგანხილვები ტარდება. პირველი ეტაპის შემდეგ, კმაყოფილები არიან ფიზმომზადების სპეციალისტები. მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და ჩვენი გუნდი წლევანდელ მსოფლიო თასზე 20%-ით უკეთესად იქნება მომზადებული, ვიდრე 2015 წლის მსოფლიო თასზე იყო.

თურქეთში ბორჯღალოსნებს ახალ ზელანდიელი ფიზმომზადების სპეციალისტი ფილ ჰილი შეუერთდა, რომელსაც ზურგს 16-წლიანი გამოცდილება უმაგრებს და ჩიფსთან ერთად ორჯერ გახდა ზე-რაგბის ჩემპიონი. მას ერთი სეზონი შოტლანდიურ გლაზგოშიც (2017-18 წლები) უმუშავია, ბოლოს კი ზე-რაგბის კიდევ ერთ ფრანჩაიზში, ბლუსში მუშაობდა. ჰილი მსოფლიო თასის დასრულებამდე საქართველოს ნაკრების ფიზმომზადების გაუმჯობესებაზე იზრუნებს.

**მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან:**

**შერკინება:** მიხეილ ნარიაშვილი, კარლენ ასიეშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, გიორგი თეთრაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, შალვა მამუკაშვილი, ვანო კარკაძე, გიორგი ჭყოიძე, ლევან ჩილაჩავა, ბექა გიგაშვილი, გიორგი მელიქიძე, კოტე მიქაუტაძე, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, ბექა სალინაძე, დავით გიგაური, გრიგორ ქერდიყოშვილი, ლაშა ლომიძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი თხილაიშვილი, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე.

**ხაზი:** ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, გიორგი ბეგაძე, ლაშა ხმალაძე, თედო აბჟანდაძე, გიორგი აფციაური, ლაშა მალაღურაძე, ზურაბ ძნელაძე, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა, გიორგი კვესელაძე, მირიან მოდებაძე, ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი, იოსებ მათიაშვილი.

# შედეგები

## 27 ივლისი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| დინამო-ნიურნბერგი | 0:1 |
| ოსნაბრიუკი-ჰაიდენჰაიმი | 1:3 |
| კილი-ზანდჰაუზენი | 1:1 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| ლე მანი-ლანსი | 1:2 |
| **ჰოლანდია. სუპერთასი** | |
| აიაქსი-პსვ | 2:0 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| უფა-კრილია | 2:1 |
| ტამბოვი-სპარტაკი | 2:0 |
| კრასნოდარი-სოჭი | 3:0 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | |
| ადმირა-ვოლფსბერგერი | 0:3 |
| ტიროლი-აუსტრია | 3:1 |
| **ბელგია. ა დივიზიონი** | |
| სერკლი-სტანდარდი | 0:2 |
| ვარეგემი-მეხელენი | 0:2 |
| სტ.ტრუიდენი-მუსკრონი | 0:1 |
| ბევერენი-ბრიუგე | 1:3 |
| **ჩეხეთი. 1 ლიგა** | |
| ზლინი-ლიბერეცი | 2:1 |
| პრჟიბრჟამი-ბოჰემიანსი 1905 | 3:2 |
| პლზენი-კარვინა | 3:2 |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა** | |
| კრაკოვია-ლოძი | 1:2 |
| იაგელონია-ჩენსტოხოვა | 0:1 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 0:2 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| სირიუსი-აიკი | 0:2 |
| ფალკენბერგი-სუნდსვალდი | 2:0 |
| ესკილსტუნა-ჰამარბი | 1:6 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | |
| ჰიკი-ვაასა | 1:1 |
| ჰონკა-ილვესი | 1:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ილიას ზუროსი შეკრებას იწყებს და კანდიდატებს არჩევს



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა შემადგენლობის შერჩევა დაიწყო. ნაკრების ძირითად კანდიდატთა შეკრება უკვე დაიწყო, მანამდე კი ბერძენმა სპეციალისტმა პერსპექტიული კალათბურთელებისთვის კემპი ჩაატარა. ზუროსმა ყველა იმ მოთამაშეს უხმო, რომლებსაც ეროვნული ნაკრების დახმარების პერსპექტივა გააჩნიათ.

ნაკრების ასისტენტების დახმარებით ზუროსმა შეადგინა 19-კაციანი სია, რომელთა უმეტესობასაც ახალგაზრდაა და რომლებიც 25 ივლისიდან ვერის საკალათბურთო დარბაზში ბერძენი სპეციალისტის მეთვალყურეობით ვარჯიშობდნენ.

**კანდიდატების შესარჩევ კემპზე გამოძახებულ მოთამაშეთა სია ასე გამოიყურებოდა:**

დავით კაკუშაძე (ბრიუსტერ აკადემი, აშშ), ივანე მეგენეიშვილი, ზაურ ჯანელიძე (ორივე ტიტები), ზურაბ ჟღენტი (დინამო), ბერდია ქავთარაძე (ზაზას აკადემია), ვახტანგ გაფრინდაშვილი, საბა ლობჯანიძე (ორივე დელტა), აკაკი ფიფია (თსუ ჰიუნდაი), ლუკა კალატოზიშვილი, ლევან ელიაძე (ორივე ბათუმი), ლუკა მაზიაშვილი (ოლიმპი), ნიკა მეტრეველი (მანტოვა, იტალია), გიგა ჯანელიძე (კალიანი, იტალია), ლევან მასხულია (ტალინი, ესტონეთი), დავით აფხაზავა (სოუზერნ იუტა, აშშ), საბა ღვდელაშვილი (მაუნთ მარტი, აშშ), დავით ლომიძე (ქუთაისი), კახა ჟინაჭარაძე (მგზავრები).

ილიას ზუროსი 2 დღის განმავლობაში ორჯერად ვარჯიშებზე აკვირდებოდა კემპის მონაწილეებს და მათ, ვინც თავს გამოიჩენს, ეროვნული ნაკრების იმ კალათბურთელთა შეკრებაზე უხმობს, რომლებსაც ხშირად უწევთ ეროვნულ გუნდში თამაში.

**ძირითად შეკრებაზე შემდეგი მოთამაშეები იქნებიან:**

თორნიკე შენგელია (ბასკონია, ესპანეთი), გიორგი შერმადინი (ტენერიფე, ესპანეთი), დუდა სანაძე (რადომი, პოლონეთი), ბექა ბურჯანაძე (გრან კანარია, ესპანეთი), გიორგი ცინცაძე, მიხეილ ბერიშვილი (ორივე ალ შამალი, ყატარი), ოთარ ფხაკაძე, ბექა ბექაური, გეგი ბაქრაძე (ყველა დელტა), მერაბ ბოქოლიშვილი (დინამო), ლუკა ბულაშვილი (კულერედო, ესპანეთი), ნიკა დარბაიძე (ოლიმპი), ალექსანდრე ფევაძე (თსუ ჰიუნდაი), ნიკა მეცხვარიშვილი (კსუ), ილია ლონდარიძე (ტიტები), აკაკი დვალიშვილი (ალ არაბია, ყატარი).

ეროვნული ნაკრების შეკრება 15 აგვისტომდე გაგრძელდება. ზუროსის გუნდს 7 აგვისტოდან საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ის წევრები შეუერთდებიან, რომლებსაც ეროვნული გუნდის მწვრთნელები ჩათვლიან საჭიროდ.

შეგახსენებთ, რომ 18-წლამდელთა ნაკრები 26 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონში იასპარეზებს.

# საქართველო ოლიმპიურ ფესტივალზე 21-ე ადგილზე გავიდა

ბაქოს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მე-6 დღეს საქართველოს ნაკრებმა 4 მედალი მოიპოვა. ყველა ჯილდო ძიუდოისტებზე მოდის, რომლებმაც დასკვნით დღეს ვაჟთა 3 – 81, 90 და +90, აგრეთვე გოგონათა 70 და +70 კილოგრამ წონით კატეგორიებში გაითამაშეს მედლები.




აქედან საუკეთესო შედეგს 81-ში მივაღწიეთ, სადაც აკაკი ჯაფარიძემ პორტუგალიელი, სლოვაკი და უკრაინელი მეტოქეები დაამარცხა, რითაც ფინალში ფრანგ არნო არეგბასთან ასპარეზობის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტი შეხვედრა ჯაფარიძისთვის წარუმატებელი გამოდგა. ქართველი ძიუდოისტი იპონით დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს თორნიკე ფოლადიშვილმა (90 კგ) და გიგა ტატიაშვილმა (+90 კგ). ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა გვანცა სომხიშვილმა (+70 კგ).

შეგახსენებთ, რომ ძიუდოისტთა ასპარეზობის პირველ დღეს ჩემპიონი გახდა ნიკა ბაჩიაშვილი (50 კგ). შედეგად საქართველოს ნაკრებმა ვაჟ ძიუდოისტთა გუნდურ ჩათვლაში თითო ოქროს, ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლით მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო ვაჟთა და გოგონათა საერთო მაჩვენებლით მე-7 საფეხურზე აღმოჩნდა.

სულ კი ბაქოში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე სპორტის 6 სახეობაში საქართველოს წარმომადგენლებმა სპორტის 2 სახეობაში (ჭიდაობა, ძიუდო) 13 მედალი მოიპოვეს – 1 ოქროს, 5 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი 21-ე ადგილი დაიკავეს.

# ჰამბურგის მეფე – გერმანიაში ბასილაშვილს ვერ აჩერებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შემდეგ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, ახლა გერმანელს უჭირდა მოწოდების მოგება. ზვერევმაც 3 ბრეიქი მოიგერია, მაგრამ 4:5-ზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და ბასილაშვილმა სეტი 57 წუთში მოიგო.

მეორე სეტში პირველი ბრეიქ პოინტი ბასილაშვილს ჰქონდა 1:0-ზე, მაგრამ ზვერევმა შეძლო სიტუაციის გადარჩენა. თუმცა მასპინძელმა იგივეს გამეორება 1:2-ზე ველარ შეძლო და ბასილაშვილი 3:1-ით დაწინაურდა.

სამწუხაროდ, უკუბრეიქი ეგრევე შედგა – ბასილაშვილმა ერთი ბრეიქ პოინტი მოიგერია, მაგრამ შემდეგ შეცდომა დაუშვა. საკუთარ მოწოდებაზე ზვერევი შეუდარებელი იყო და ანგარიშიც გათანაბრდა – 3:3.

4:4-ზე ბასილაშვილმა კიდევ ერთხელ დაკარგა საკუთარი მოწოდება, ზვერევმა სეტის ბოლომდე მიყვანა შეძლო – 6:4.

გადამწყვეტი სეტი ბასილაშვილმა მოგებული გეიმით დაიწყო, რასაც მოჰყვა ბრეიქ პოინტი, რომელიც ქართველმა ჩოგბურთელმა გამოიყენა და 2:0 დაწინაურდა. ნიკამ მომდევნო გეიმში 4 ბრეიქ პოინტი გადაარჩინა და სხვაობამ უფრო სოლიდური სახე მიიღო – 3:0.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ჩვენებურმა ზედიზედ 5 გეიმი დათმო და ახლა გერმანელმა მიიღო კოლოსალური უპირატესობა – 5:3.

მოწოდება ბასილაშვილის იყო, მაგრამ კარგად არ გამოსდიოდა და 2 მატჩში პოინტის გადარჩენა მოუწია, ბოლოს კი გეიმის მოგებაც შეძლო – 4:5.

როცა უკვე ყველას ყველაფერი დასრულებული ეგონა, ნიკამ მეტოქის მოწოდებაზე ორმაგი ბრეიქ პოინტიდან ერთი გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა – 5:5.

საკუთარ მოწოდებაზე ბასილაშვილმა ისევ 2 ბრეიქ პოინტი გადაარჩინა და 6:5 დაწინაურდა. ზვერევმა საკუთარი მოწოდება მოიგო და თამაში გადამწყვეტ ტაი ბრეიკში გადავიდა.

მიკრო დუელში ზვერევი 5:2 დაწინაურდა. ამის შემდეგ ბასილაშვილმა ჩაიგდო ხელში უპირატესობა, 6:5 გახადა და გაიმარჯვა კიდეც – 7:5.

27 წლის ქართველი ფინალში 21 წლის რუსი ჩოგბურთელს, მსოფლიოს 78-ე ჩოგანს, ანდრეი რუბლიოვს შეხვდა, რომელმაც ფინალისკენ მიმავალ გზაზე ტურნირის პირველი ჩოგანი, დომინიკ ტიმი ჩამოიშორა.

პირველი ორი გეიმი მოთამაშეებმა მარტივად მოიგეს, მესამე გეიმში კი რუბლიოვმა ბასილაშვილის მოწოდება მოიგო და ბრეიკით წინ გავიდა. თუმცა ქართველმა მე-6 გეიმში უკუბრეიკის შესრულება შეძლო და ანგარიში გაათანაბრა – 3:3.

თამაშში დაბრუნების შემდეგ, ნიკამ მეშვიდე გეიმი უკვე ძალიან ადვილად მოიგო და 4:3 დაწინაურდა. მე-12 გეიმში, რუბლიოვის მოწოდებაზე, ბასილაშვილს 4 სეტპოინტი ჰქონდა, მე-4 გამოიყენა და სეტი 7:5 მოიგო.

ნიკამ მეორე სეტიც კარგად დაიწყო, მაგრამ მე-7 გეიმში რუბლიოვმა ბასილაშვილის მოწოდება მოიგო და 4:3 დაწინაურდა. მომდევნო გეიმი რუსმა ადვილად მოიგო და ანგარიში მის სასარგებლოდ 5:3 გახდა.

მე-9 გეიმში ბასილაშვილმა სხვაობა შეამცირა და სეტის გადარჩენის შანსი დაიბრუნა (5:4 რუბლიოვის სასარგებლოდ). ამჯერად ჩვენებურმა ეს შანსი ვერ გამოიყენა და რუსმა ჩოგბურთელმა მეორე სეტი 6:4 მოიგო.

გადამწყვეტი სეტი ბასილაშვილმა შესანიშნავად დაიწყო: საკუთარ მოწოდების მოგების შემდეგ, რუბლიოვის მოწოდებაზე 3 ბრეიკ პოინტი ჰქონდა, მესამე გამოიყენა და 2:0 დაწინაურდა. სამწუხაროდ, რუბლიოვმა მაშინვე შეძლო უკუბრეიკის გაკეთება, მაგრამ რუსის მოწოდებაზე, ნიკამ გენიალური გეიმი ჩაატარა და ბრწყინვალე ვინერსებით 3:1 დაწინაურდა.

ამის შემდეგ ჩოგბურთელებმა საკუთარი მოწოდებები მოიგეს და ანგარიში 5:3 გახდა. ბასილაშვილმა საკუთარ მოწოდებაზე გეიმი 40:0 წაიყვანა და სამმაგი მატჩპოინტი მიიღო. ქართველმა ჩოგბურთელმა პირველივე მატჩპოინტი გამოიყენა და ზედიზედ მეორედ გახდა ჰამბურგის ჩემპიონი.

ამ მოგების შემდეგ ბასილაშვილს 1.975 ქულა დაუგროვდება და რეიტინგში მე-16 პოზიციასაც დაიბრუნებს.

## ქალი ქიმიოთერაპიაზე შეცდომით ორჯერ გაუშვეს



ბრიტანეთის დევონის საგრაფოს მკვიდრმა ლიანა კოკეინმა ლეიკემიის გამო ორჯერ გაიარა ქიმიოთერაპიის კურსი, მაგრამ შემდეგ შეიტყო, რომ კიბო საერთოდ არ ჰქონია.

ქალს სიმპტომები ბავშვის გაჩენის შემდეგ გამოუვლინდა. მას პირველ თვეს კრონის დაავადების რეციდივი დაემართა, შემდეგ ცხელება და ძლიერი სისუსტე აღენიშნებოდა. ამ ყველაფერს ახლდა ართრიტი ხელებში, ფილტვის ემბოლია და ძლიერი ტკივილები, რის გამოც დამოუკიდებლად მოძრაობას ვერ ახერხებდა.

ქალი ერთდროულად ექვსმა სხვადასხვა სპეციალისტმა გასინჯა. ბიოფსიის შედეგების გამო კოკეინს საავადმყოფოში დაბრუნება ურჩიეს განმეორებითი ანალიზების ჩასატარებლად. სპეციალისტებმა სრული დამაჯერებლობით განაცხადეს, რომ მას აღმოუჩინეს უჯრედის ანომალია, რომელიც მწვავე ლეიკემიაზე მიანიშნებდა.

იმის გამო, რომ ეს დაავადება კიბოს სახიფათო სახეობას წარმოადგენს, რომელიც სწრაფად ანადგურებს ძვლის ტვინს, ექიმებმა დაჟინებით მოითხოვეს ქიმიოთერაპიის ორი ექსტრემალური კურსის გავლა და შემდეგ ამ ორგანოს გადანერგვას გეგმავდნენ.

ტრანსპლანტაციის თვის მზადების პროცესში ექიმებმა ქალს განმეორებით აუღეს ანალიზები და საკუთარ დიაგნოზში შეცდომა აღმოაჩინეს. აღმოჩნდა, რომ ქალს სინამდვილეში იშვიათი დაავადება ჰქონდა, რომელიც სვიტის სახელით არის ცნობილი. მათ ქალს მაშინვე აცნობეს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.

ამ შემთხვევის შემდეგ საავადმყოფოში სრული გამოძიება ჩატარდა, რათა მსგავსი ინციდენტების გამეორების რისკი სამომავლოდ მინიმუმამდე შემცირდეს.

## სკანვორდი



1. საბრილიანტე ქვა; 2. მცირე სიმძლავრის გადასატანი რადიოსადგური; 3. ყვავილი; 4. ... უანდერი; 5. ქალაქი იაპონიაში; 6. ქათმების ოჯახის გარეული ფრინველი; 7. ბავშვთა ექიმი; 8. ათჯერ მეტის აღმნიშვნელი წინსართი; 9. იგივეა, რაც მუხუდო; 10. ... ელიავა; 11. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი ფიგურის შეწირვით; 12. გამომწვარი კირქვა; 13. ... რობსონი; 14. თბილი ქვეყნების მცენარე; 15. ბერძნული ანბანის ასო; 16. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა; 17. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 18. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 19. იუდეველთა ღმერთის იაჰვეს ეპითეტი; 20. პროტესტანტების მღვდელი; 21. ნუსხა; 22. ხელების მიშველება ლაპარაკის დროს; 23. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთსა და რომში; 24. შტატი აშშ-ში; 25. მოხეტიალე მლოცველი; 26. რამდენიმე შემსრულებლისგან შემდგარი მუსიკალური კოლექტივი; 27. სახლის სახურავი მასალა; 28. საერთო ევროპული ვალუტა; 29. იაპონური თეატრის სახეობა; 30. სამუელ ... (ფეხბურთელი); 31. კლავიშებიანი საკრავი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ინსინუაცია; 2. ლეკოკი; 3. თოფურია; 4. დიანა; 5. სუბიექტი; 6. ქურქი; 7. ლივადია; 9. იაკუძა; 13. კიაზო; 17. ტუში; 18. ტბა.

**თარაზულად:** 1. იურმალა; 3. თამადა; 8. თუნუქი; 10. კორპუსი; 11. შნეკი; 12. მაკლერი; 14. ტანძია; 15. ბეიძინი; 16. ტატრა; 19. ვეზუვი; 20. ბავარია; 21. მწნილი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ემბარგო; 2. პუშკინი; 3. ბიურგერი; 4. დელიბი; 5. თავთუხი; 8. პარკეტი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. კალმახი; 16. ჭყონდიდი; 17. ბორხესი; 19. იბერია; 20. მოხერი.

**თარაზულად:** 6. ამაშუკელი; 7. ძელშავი; 8. პურადი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ტრავოლტა; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ტონგა; 23. ალგეთი; 24. ციციშვილი.

## ფოტოგრაფი მოდელებს საშხაპეში ფარული კამერით იღებდა

მოდელმა საკუთარ ბინაში ფოტოგრაფის მიერ დაყენებული ფარული კამერა აღმოაჩინა, რომლითაც მას შიშველს უღებდა. ამის შესახებ გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე დაწერა.

ცნობილი ლოს-ანჯელესელი ფოტოგრაფი უილიამ ფრენსისი 25 წლის ფიტნეს-მოდელ ზოი კლოპფერს პაწაწინა კამერით იღებდა, რომელიც სააბაზანო ოთახის შტეფსელში ჰქონდა ჩამონტაჟებული. როდესაც მოდელმა კამერის მეხსიერების ბარათი საკუთარ კომპიუტერში ჩასვა, ნახა, რომ მასში საშხაპეში გადაღებული მისი და სხვა გოგონების 241 ვიდეორგოლი იყო შენახული.



– მინდა, ეს ინფორმაცია გავაზიარო, რათა სხვა ქალები დავიცვა, ვინაიდან ის გამუდმებით ცნობილ მოდელებთან, პიროვნებებთან და ოჯახებთან მუშაობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, – დაწერა გოგონამ საკუთარ გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში.

## ქალს ბავშვების სკოლიდან გამოყვანა ფეხის დაკარგვად დაუჯდა

ინგლისის უესტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ ჰადერსფელდის მცხოვრები ქალბატონი თავისი სამი ბავშვის სკოლიდან გამოყვანას ჩქარობდა, რა დროსაც დაეცა და მუხლი დაარტყა. ათი წლის შემდეგ მან ამის შედეგად მარჯვენა ფეხი დაკარგა.



44 წლის ჯული ბანუელმა განაცხადა, რომ დაცემის შედეგად მას ზუდეკის სინდრომი განუვითარდა – დაავადება, რომელიც კიდურის ტრავმის შედეგად ვითარდება. ნატკენი მუხლი ქალს დისკომფორტს უქმნიდა და ტკივილს აყენებდა. მან არაერთხელ გაიარა ექიმებთან გამოკვლევა, მაგრამ ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე რჩევას იღებდა – ფეხზე იბუპროფენის მალამო წაესვა.

2016 წელს მუხლის ტკივილი აუტანელი გახდა და ბანუელმა საავადმყოფოს მიმართა. ექიმებმა მას რენტგენი გადაუღეს და აღმოაჩინეს, რომ ქალი წელიწად-ნახევარი მოტეხილი მუხლით დადიოდა.

– ვშიშობდი, რომ ისინი შეშლილად ჩამთვლიდნენ, თუ ფეხის ამპუტაციას მოვითხოვდი, – განაცხადა ქალმა, – მაგრამ ამ ჯოჯოხეთური ტკივილის ატანა აღარ შემეძლო.

მას შემდეგ, რაც ექიმები დარწმუნდნენ, რომ ქალს ფსიქიკური აშლილობა არ ჰქონდა, მის თხოვნას სერიოზულად მოეკიდნენ. სანამ ოპერაციას შეუდგებოდნენ, ექიმებმა მკურნალობის რამდენიმე ვარიანტს მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ ბანუელს ფეხის ამპუტაცია გაუკეთდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



## კულინარიული კუთხე

### ცხვრის ხორცის ჩაქაფული

**მასალა:** ცხვრის ან ბატკნის ხორცი – 1 კილოგრამი; ხახვი – 500 გრამი; ტარხუნა – 1 კონა; მწვანილი – 5-5 ძირი; ახალი ტყემალი – 1 ჩაის ჭიქა; თეთრი ღვინო – 1 ჭიქა; მარილი, წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადება:** ცხვრის ან ბატკნის მსუქანი, ძვლიანი ხორცი დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, დავასხათ იმდენი წყალი, რომ ხორცი დაფაროს. დავდგათ დაბალ ცეცხლზე და ვხარშოთ. როცა წყალი დაშრება, ჩავყაროთ რგოლებად დაჭრილი ხახვი და ვშუშოთ. ოხრახუში, ქინძი დავჭრათ წვრილად და ჩავყაროთ ხორციან ქვაბში. ავიღოთ ქორფა ტარხუნა, დავჭრათ დიდ ნაჭრებად (გავჭრათ სამად) და მწვანილთან ერთად ისიც ჩავყაროთ. ნამიანი მწვანილი წყალს გაუშვებს; თუ ეს საკმარისი არ იქნება, დავამატოთ ცოტა წყალი და ჩავყაროთ ახალი ტყემალი. როცა ტყემალი კარგად მოიხარშება, გადმოვდგათ ცეცხლიდან, დავასხათ თეთრი ღვინო და შევაზავოთ მარილითა და წიწაკით.

### ღორის მწვადი

მსუქანი ღორის ხორცი (უმჯობესია ზურგის ნეკნებიანი მხარე, ბარკლის ნაჭერი და სხვა) დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი და შევდგათ მაცივარში რამდენიმე საათით. შემდეგ წამოვაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე; შამფური სულ ვატრიალოთ. როცა მწვადი მზად იქნება, მოვაყაროთ მრგვლად დაჭრილი ხახვი და შემოვუწყოთ ოხრახუშის ფოთლები. სუფრაზე მწვადთან ერთად, ცალკე, მივიტანოთ ბროწეულის ან ტყემლის საწებელი.

### ერბოკვერცხი პამიდვრით

**მასალა:** კვერცხი – 2-3 ცალი; პამიდორი – 4-5 ცალი; ერბო – 2-3 სუფრის კოვზი; მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადება:** ხახვი დავჭრათ წვრილად და კარგად მოვშუშოთ ერბოში, პამიდორი გავხეხოთ სახეხზე და დავასხათ. როცა პამიდორი კარგად ჩაიხარშება და გასქელდება, მარილთან ერთად ჩავახალოთ კარგად გათქვეფილი კვერცხები, დავახუროთ თავსახური და შევწვათ. სუფრაზე მიტანის წინ მოვაყაროთ შავი პილპილი.

### მოხარშული კარტოფილი ნიგვზით

**მასალა:** კარტოფილი – 1 კილოგრამი; ნიგოზი – 1 ჩაის ჭიქა; ნიორი – 2-3 კბილი; ქინძი – 2-3 ღერი; დანაყილი ქინძის თესლი – 1 ჩაის კოვზი; დანაყილი იმერული ზაფრანა – 1,5 ჩაის კოვზი; ხახვი – 2 თავი; წვრილად დაჭრილი ოხრახუშის ფოთოლი – 1/2 ჩაის ჭიქა; ბროწეულის მარცვლები, ღვინის ძმარი, წიწაკა და მარილი – გემოვნებით.

**მომზადება:** კარტოფილი მოვხარშოთ და დავსრისოთ. ნიგოზი, ქინძი, ნიორი, მარილი დავნაყოთ ერთად და ზეთი გამოვხადოთ. ზეთგამოხდილი მასა გავხსნათ ღვინის ძმრით, შევურიოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ოხრახუშის ფოთოლი, დანაყილი ქინძის თესლი, წიწაკა და იმერული ზაფრანა. მიღებულ მასალაში ავურიოთ დასრესილი კარტოფილი და ბროწეულის მარცვლები. მოვათავსოთ შესაფერის ჭურჭელზე, შევუსწოროთ ზედაპირი, მოვასხათ ნიგვზიდან გამოხდილი ზეთი და მოვაყაროთ ბროწეულის მარცვლები.

### ჭრელი ტორტი

**მასალა:** შაქარი – 1 ჭიქა; კვერცხი – 2 ცალი; მესამედი ქილა შედედებული რძე; არაჟანი – 1 ჭიქა; ძმარში გახსნილი ნახევარი ჩაის კოვზი სოდა და ჭიქანახევარი ფქვილი.

**მომზადება:** 2 კვერცხი კარგად ავთქვიფოთ 1 ჭიქა შაქრის ფხვნილთან ერთად: შევურიოთ 1/3 ქილა შედედებული რძე, 1 ჭიქა არაჟანი, ძმარში გახსნილი სოდა და გაცრილი ჭიქანახევარი ფქვილი. მიღებული ცომი გავყოთ 3 ნაწილად. ერთი ნაწილი მოვათავსოთ ცხიმწასმულ ტაფაზე და 15-20 წუთით შევდგათ 200 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. დანარჩენ 2 ნაწილს დავუმატოთ კაკაოს ფხვნილი და გამოვაცხოთ.

**კრემისთვის:** ავთქვიფოთ 200 გრამი დარბილებული კარაქი, ნელ-ნელა დავამატოთ 2/3 ქილა შესქელებული რძე. მიღებულ მასას შევურიოთ 200 გრამი დაფქვილი ნიგოზი. გაციებული ფირფიტები კრემით ისე შევაერთოთ, რომ შუაში მოექცეს თეთრი ფენა. ტორტს ზემოდან მოვაყაროთ ცოტაოდენი ნიგოზი და რამდენიმე საათით შევდგათ მაცივარში.

## ასტროპროგნოზი 29 ივლისისთვის



**ვერძი** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **მორიელი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ძაღლმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ბავშვი კობრისგან გადაარჩინა

ფილიპინების კოტაბატოს პროვინციის ქალაქ კიდაპავანში ორი შინაური ძაღლი კობრას შეებრძოლა და ბავშვი გადაარჩინა. სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



კადრებში ჩანს, რომ სახლის ერთ მონაკვეთში კობრამ შეაღწია. ქვეწარმავალს ორი წლის თეთრი ტაქსა, სახელად მოკსი მიეჭრა, ხოლო შავი ძაღლი, სახელად მაილი, მის დასახმარებლად მივარდა და გველს კბილებით ჩააფრინდა.

რამდენიმე წამის განმავლობაში ქვეწარმავალი იკლაკნებოდა და ძაღლებისგან გათავისუფლებას ცდილობდა, ისინი კი – მის სახლიდან გაგდებას. შემდეგ გველი სახლის შესასვლელი კარისკენ გასრიალდა, მაგრამ მოკსიმ და მაილმა მას კბილები ჩაავლეს და სახლს მოაშორეს. მათი პატრონების თქმით, იმ დროს სახლში მათ ერთი წლის გოგონას, სკაის ეძინა.

ორწუთიანი ბრძოლის შედეგად კობრა დაიღუპა. ოთხი წლის მაილმა სასიკვდილო ნაკბენი მიიღო და ისიც დაიღუპა. მართალია, მოკსი გადარჩა, მაგრამ გველის შხამმა დააბრმავა.

სახლის პატრონმა და სკაის მამამ, ხაიმე სელიმ, გაიხსენა, რომ ის და მისი მეუღლე იმ დროს სამსახურში იყვნენ, ხოლო ბავშვთან მოსამსახურე იმყოფებოდა.

– როდესაც სახლში დავბრუნდით, მოსამსახურემ ვიდეოჩანაწერი გვანახა და მოგვიყვა, რაც მოხდა. ძალიან ვამაყობთ ჩვენი ძაღლებით და მათი მადლიერები ვართ. მაილი ძალიან დაგვაკლდება, – განაცხადა მამაკაცმა.

## ქალი, რომელმაც 118 ბავშვი შეიფარა, 20 წლით ციხეში ჩასვეს



ჩინეთის პროვინცია ხებეის მცხოვრებს განსაკუთრებულად დიდი თაღლითობისთვის 20 წლით პატიმრობა შეუფარდეს.

2006 წელს 54 წლის ლი იანსიამ, რომელიც ასევე ლი ლიცზიუანის სახელითაც არის ცნობილი, მედიაში სახელი მოიხვეჭა, როგორც ფილანტროპმა. მაშინ ქალმა განაცხადა, რომ თითქოსდა მისმა ყოფილმა ქმარმა მათი შვილი შავ ბაზარზე შვიდი ათას იუანად გაყიდა. მისი თქმით, მან შვილის დაბრუნება მოახერხა და ამის შემდეგ გადაწყვიტა, სხვა ბავშვებსაც დახმარებოდა.

1996 წლიდან იანსია ლითონის მომპოვებელ კომპანიას ფლობდა, რისი წყალობითაც ხებეის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალად იქცა.

– მე ხშირად ვამჩნევდი ჩემი ერთ-ერთი მაღაროს მახლობლად ხუთი-ექვსი წლის გოგონას, – განუცხადა ქალმა ერთ-ერთ გაზეთს, – მამამისი გარდაიცვალა, დედამ კი მიატოვა. მე ის შევიფარე და ჩემი პირველი შვილობილი გახდა.

მოგვიანებით ქალმა საკუთარი მფარველობის ქვეშ ათეულობით უსახლკარო ბავშვი შეიფარა და გახსნა თავშესაფარი „სიყვარულის სოფელი“. 2017 წლისთვის მის თავშესაფარში 118 ბავშვი ცხოვრობდა. სწორედ იმ დროს დაიწყო ხელისუფლებამ ქალის საქმიანობასთან დაკავშირებით საჩივრების მიღება.

2018 წლის მაისში პოლიციამ მის საბანკო ანგარიშზე 20 მილიონ იუანზე მეტი და 20 ათასი დოლარი აღმოაჩინა. უფრო მეტიც, იანსიას უპოვეს ძვირადღირებული ავტომობილები, როგორებიცაა ლენდ როვერი და მერსედეს-ბენცი. აღმოჩნდა, რომ ქალი 2011 წლიდან თაღლითობით იყო დაკავებული.

24 ივლისს იანსია სასამართლოს წინაშე წარდგა გამოძალვისა და თაღლითობის, საბუთების გაყალბებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის. 20-წლიანი პატიმრობის გარდა, ჩინელ ქალბატონს ჯარიმის სახით 2,7 მილიონი იუანის გადახდაც მოუწევს.

## ოთხმეტრიანმა პითონმა სახელოსნოში ძაღლი გაგუდა



მალაიზიის დასახლებულ პუნქტ ბუკიტ-ბერუნტუნგში დაიჭირეს ოთხმეტრიანი პითონი, რომელმაც ძაღლი მოკლა.

მუშებმა ღამის საათებში მუშაობის დროს ძაღლის წკავწკავი გაიგონეს და სახელოსნოს მეპატრონეს შეატყობინეს. ის სასწრაფოდ მივიდა ადგილზე და დაინახა გველი, რომელიც ძაღლზე იყო შემოხვეული და გუდავდა.

– პითონის დაჭერა ვცადე, მაგრამ ის მეტად აგრესიულად იქცეოდა, – ამტკიცებს მამაკაცი.

მან სამაშველო სამსახურში დარეკა და პრობლემის შესახებ აცნობა. მალე შემთხვევის ადგილზე სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ. იმ დროისთვის ქვეწარმავალმა ძაღლის მოკვლა მოასწრო, სახელოსნოს მეპატრონემ კი ის აიძულა, კონტეინერის ქვეშ შემძვრალიყო.

მაშველებმა ქვეწარმავლის დაჭერას 90 წუთი მოანდომეს, შემდეგ კი მოშორებით ტყეში წაიყვანეს და გაუშვეს. პითონის სიგრძე – ოთხი მეტრი, ხოლო წონამ 20 კილოგრამი შეადგინა.

## მძღოლმა საკუთარი მანქანა ოკეანეში ღიმილით ჩაძირა

მძღოლმა მანქანით დიდი სისწრაფით გადაკვეთა პლაჟი და თავისი მწვანე გოლფის კლასის ვოლკსვაგენი ოკეანეში ჩაძირა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი წყალსათხილამურო კლუბის სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირა, რომლებიც სამხრეთ აფრიკის პროვინცია კვაზულუ-ნატალის პლაჟზეა განთავსებული. კადრებში ჩანს, როგორ შედის ავტომობილი წყალში და მას წყლის ტალღები ფარავს. ამ დროს მძღოლი კარს აღებს და მანქანიდან გადმოდის.

თვითმხილველთა თქმით, ის იღიმებოდა და ცერა თითებს მაღლა სწევდა იმის ნიშნად, რომ თავად სრულ წესრიგში იყო.



ოკეანეში ჩაძირული ავტომობილის სიახლოვეს ხალხმა მოიყარა თავი. ვოლკსვაგენის წყლიდან ამოსათრევად კლუბის ტრაქტორის გამოყენება გახდა აუცილებელი. დაიწყო თუ არა მომხდარის გამოძიება პოლიციამ, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

## გლეხებმა ნიანგს ბავშვი გამოსტაცეს

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ნიანგი ბავშვს თავს დაესხა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



მტაცებელი რეპტილია 12 წლის მოჰამედ აკრამს იმ დროს დაესხა თავს, როდესაც ის სარწყავ არხთან იმყოფებოდა წყლის ასაღებად. ნიანგმა მას პირი ფეხში სტაცა და არხში ჩათრევა დაუწყო.

აკრამის პაპამ, რომელიც იქვე ახლოს მინდორში მუშაობდა, საშველად სხვა გლეხებსაც უხმო. მათ მტაცებელს ჯოხები დაუშინეს და აიძულეს, ყბები გაეხსნა.

– აკრამს გაუმართლა, რომ იქვე მინდორში რამდენიმე ადგილობრივი მუშაობდა, რომლებიც დასახმარებლად მისცვივდნენ, – განაცხადა მოზარდის მამამ, – ახლა მას პოლიკლინიკაში მკურნალობენ. ექიმები ამბობენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## ქალს არაკონტროლირებადი ორგაზმი ტანჯავს

ხანდაზმულმა შოტლანდიელმა ქალბატონმა, სახელად მარიამ, რომელსაც მუდმივი სქესობრივი აღგზნება აწუხებს, განაცხადა, რომ ყველაზე მეტად მაშინ იტანჯება, როდესაც მანქანა, რომლითაც ის მგზავრობს, გზის უსწორმასწორო მონაკვეთზე გადადის.



იშვიათი აშლილობა მას 2017 წელს ექიმთან სტანდარტული გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დაეწყო. ერთ თვეში მას სახიფათო სიმპტომები გამოუვლინდა, შემდეგ კი სქესობრივი აღგზნების სინდრომი დაუდგინეს, რომელიც სასქესო ნერვის დაზიანებამ გამოიწვია.

– არავინ და არაფერი წარმოადგენს ორგაზმის მიზეზს. დროის უმეტეს ნაწილს თავს ისე ვგრძნობ, თითქოსდა ჭიანჭველების ბოდეზე ვზივარ. ყველაზე ხშირად ღუტუნს შევიგრძნობ, მაგრამ შემდეგ თითქოსდა, რაღაც გაიტკაცუნებს და კუნთების სრული შეკუმშვა ხდება, – აცხადებს 61 წლის მარიამი.

ქალმა მრავალი სახის მკურნალობა ცადა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ უშველა. შოტლანდიელმა ექიმებმა მისი განკურნების იმედი დაკარგეს და ლონდონში გააგზავნეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მასტერმა და ნათია დუმბაძემ დუეტი ჩაწერეს



მომღერლებმა მასტერმა და ნათია დუმბაძემ დუეტი ჩაწერეს და საზაფხულოდ მასზე გადაღებული ვიდეორგოლიც შესთავაზეს მაყურებელს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ენერგიულმა, მხიარულმა და ლამაზმა მელოდიამ ათასობით მსმენელის მოწონება დაიმსახურა.

„არ უყურო დროს“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომლის კლიპიც შემოქმედებითმა ჯგუფმა სულ რამდენიმე დღეში გადაიღო და მასში, მომღერლების გარდა, იუმორისტი ვახო ბიჭიკაშვილი და მსახიობი ზურა ნიჟარაძე მონაწილეობენ.

მასტერისა და ნათია დუმბაძის მეგობრობა მრავალ წელს ითვლის, თუმცა მათ ერთობლივი სიმღერის ჩაწერა აქამდე ვერ მოახერხეს.

## „ბლექ სი არენას“ დირექტორი ტატო ხარჩილავა თაღლითების შესახებ გვაფრთხილებს



საკონცერტო დარბაზ „ბელქ სი არენას“ დირექტორი ტატო ხარჩილავა მოსახლეობას თაღლითების შესახებ აფრთხილებს:

– ცოტა არ იყოს, მეუხერხულება ამის დაწერა, მაგრამ ბილეთები როგორც ბლექ სი არენას ღონისძიებებზე, ასევე სხვა ნებისმიერ ივენთზე ოფიციალურად იყიდება მხოლოდ პროვაიდერ საიტებზე.

შესაბამისად, სხვა კერძო პირებისგან ფასდაკლებებისა თუ მოსაწვევების შემოთავაზება ხშირად მხოლოდ თაღლითობის მცდელობაა და სხვა არაფერი.

თუ ჩემი, თქვენი ნაცნობები, მეგობრები ან მოგვარეები სხვადასხვა არხით ბილეთების შეძენას გთავაზობენ, ე.ი. თაღლითობას აქვს ადგილი და ფრთხილად იყავით!

ამ დღეებში ძალიან ბევრი ცუდი ისტორია მოვისმინე. ნუ ჩაიგდებთ თავს უხერხულ მდგომარეობაში და ნურც მე ჩამაგდებთ.

## ნინი ჯულაყიძემ და გიგი თხინვალელმა „ლუქ საქართველო“ მოიგეს

19 წლის ნინი ჯულაყიძე და 17 წლის გიგი თხინვალელი ელიტ მოდელ „ლუქ საქართველოს“ გამარჯვებულები გახდნენ.

აისი მოდელ მენეჯმენტმა და მისმა ხელმძღვანელმა ია კიწმარიშვილმა საქართველოს მასშტაბით შერჩეული კონკურსანტებიდან საუკეთესოები პარიზიდან ჩამოსულ საპატიო სტუმრებს პირადად წარუდგინა.




„ელიტისა“ და „ვუმენის“ წარმომადგენლებმა ქართველ გოგონებსა და ბიჭებში საუკეთესოები დაასახელეს. 19 წლის ნინი სტუდენტია, 17 წლის გიგი კი – სკოლის მოსწავლე.

როგორც მათ განაცხადეს, ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ რა კონკურსი მოიგეს და რა წარმატებები ელით.

„ელიტ მოდელ ლუქი“ არის მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი კონკურსი, რომელმაც გზა გაუხსნა ცნობილ მოდელებს კლაუდია შიფერს, სინდი კროუფორდს, ნაომი ქემპბელს, ალესანდრა ამბროსიოს.

## წყალტუბოში წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია დასრულდა




წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ტყაჩირში, დასრულდა წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის სარეაბილიტაციო პროცესი. ფიზიკური სამუშაოები მიმდინარე წელს დაიწყო, რომელიც საკულტო ნაგებობის ცალკეული კონსტრუქციული წყობების რესტავრაციას ითვალისწინებდა.

გამოიცვალა ნაგებობის გადახურვა. ძველი, სრულად ამორტიზებული ხის გადახურვა ჩანაცვლდა ხის ახალი კონსტრუქციითა და ფენილით, რომელზეც თუნუქის ლორფინის იმიტაციის სახურავი მოეწყო.

ფასადზე გაშავებული ადგილები გასუფთავდა ლითონის ჯაგრისებით, გამოქარული ადგილები კი ამოიგოზა პიგმენტირებული ხსნარით. სრულიად განახლდა ეკლესიის კარი და სარკმლები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 ივლისისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.9321 |
| ევრო | 3.2637 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.6446 |
| 100 რუსული რუბლი | 4.6456 |

**ამინდის პროგნოზი 29 ივლისისთვის**





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**16 ივლისიდან**

ელეონორ პორტერი

**პოლიანა**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**







**19 ივლისიდან**

რევაზ მიშველაძე

**ციყვი ბორბალში**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**



**გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577460659 ან 595183709**


## ჰამბურგის მეფე — გერმანიაში ბასილაშვილს ვერ აჩერებენ



საქართველოს პირველმა ჩოგანმა ევროპის ღია პირველობა მოიგო და ჰამბურგის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

ბასილაშვილი პირველი ჩოგბურთელია როჯერ ფედერერის შემდეგ, რომელმაც ჰამბურგის ტურნირი ზედიზედ ორჯერ მოიგო.

სანამ ბასილაშვილი როტენბაუმის ცენტრალურ კორტზე საბოლოო გამარჯვებას იზეიმებდა, მანამდე არანაკლებ მძიმე და მნიშვნელოვანი მატჩი გამართა მსოფლიოს მე-5 ჩოგან ალექსანდრ ზვერევთან, რომელიც სწორედ ჰამბურგშია დაბადებული და მშობლიურ კორტებზე თამაშობდა.

ჩვენებურმა პუბლიკის ფავორიტი 3 სეტში დაამარცხა – 6:4, 4:6, 7:6. მატჩი 3 საათსა 10 წუთში დასრულდა.

პირველ სეტში თანაბარი თამაში იყო, თავიდან ქართველ ჩოგბურთელს უჭირდა საკუთარი მოწოდების მოგება და 3 ბრეიქ პოინტის მოგერიება მოუწია.

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## ხმები, რომ კეიტ მიდლტონი ბოტოქსის ინექციას იკეთებდა, სამეფო ოჯახმა უარყო



კენსინგტონის სასახლის პრესსამსახურმა უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონი, ბრიტანეთის პრინც უილიამის მეუღლე, თავისი ყოველი ბავშვის დაბადების შემდეგ ბოტოქსის ინექციებს იკეთებდა.

ეს ჰერცოგინიას ბრალად ექიმმა მუნირ სომჯიმ დასდო, რომელიც ლონდონში სპა-საავადმყოფოს ხელმძღვანელობს. მან ინსტაგრამში გამოაქვეყნა ჰერცოგინიას ორი ფოტოსურათი წარწერით: „ჩვენს კეიტს ცოტა ბავშვური ბოტოქსი უყვარს. ყურადღება მიაქციეთ შუბლზე ჭკვიანურ წვრილ ხაზებს, ასევე წარბების შუა ნაწილის შემცირებასა და, სამაგიეროდ, ბოლოების ზევით აწევას“.

ამის შემდეგ ორივე ფოტოსურათი თავისი კომენტარებით წაშალეს.

## გაქცეულმა იაკებმა კინაღამ ტურისტი იმსხვერპლეს

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატში ტურისტს თავს იაკები დაესხნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

ტურისტი იაკებს ბეარჰოულის წყალსატევზე გასეირნების დროს გადაეყარა. მას ისინი სახიფათოდ არ მოეჩვენა და მათთან ახლოს მივიდა. როდესაც ცხოველებამდე მანძილი ორ მეტრამდე იყო დარჩენილი, ერთ-ერთმა მათგანმა თავი ძირს დახარა, დაიფრუტუნა და მოგზაურისკენ გაქანდა, მას ტურისტის დევნაში სხვა იაკებიც შეუერთდნენ.



საბედნიეროდ, ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. ცხოველების დაჭერა მხოლოდ მეორე დილას მოხერხდა. პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, იაკები მეზობელი ფერმიდან იყვნენ გაქცეული. ისინი პატრონს დაუბრუნეს, რომელმაც ცხოველები უფრო საიმედოდ დაცულ ფარეხში მოათავსა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

მამაკაცი ქალს ეკითხება:

– თუ საიდუმლო არ არის, რამდენი წლის ხართ?

– იცით, ახლახან მივუახლოვდი ოცდაათს.

– მართლა? და ასე რამ შეგაყოვნათ?

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, უკაცრავად, რომ ასე გვიან დაგირეკეთ.

– გვიან კი არა, სულ ტყუილად!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– მინდა, კატა ვიყოლიო სახლში.

– ჰოო, კატა სერიოზულია, და იქნებ ჯერ გათხოვება გეცადა?

●●●

ზოომაღაზიაში ქალი თუთიყუშს ათვალიერებს და ეკითხება:

– აბა, ჩიტუნია, ლაპარაკი იცი?

თუთიყუშმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და ეკითხება:

– და შენ კვერცხების დადება შეგიძლია?

●●●

მასპინძელი სტუმარს ეკითხება:

– ყავა კონიაკით მოგართვათ?

– არა, უ...

– უკონიაკოდ?

– უყავოდ...

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– ეს დაღლილობის მოსახსნელად, ეს ნერვული დაძაბულობის, ეს დეპრესიის.

– დიდი მადლობა, ექიმო, მაგრამ, ვისკის გარდა, სხვა არაფერი გაქვთ?

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ლარისა უნდა გავათხოვოთ!

– კი მაგრამ, როგორ გინდა, გაათხოვო, მაგას მხოლოდ ისეთები მოსწონს, რომლებიც სასმელს არ ეკარებიან, ის კი მხოლოდ ლოთებს მოსწონთ!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გავიგე, მეგობარ მამაკაცს დაშორებიხარ. რატომ?

– შენ შეძლებდი ისეთი ადამიანის გვერდით ცხოვრებას, რომელიც ეწევა, სვამს, იგინება და კიდევ ჩხუბობს?

– რა თქმა უნდა არა!

– ჰოდა, ვერც მან შეძლო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პრინც ჰარისა და მეგან მარკლის მეზობლებს მათთან დალაპარაკება აუკრძალეს



ბრიტანეთის პრინც ჰარისა და მისი მეუღლის მეგან მარკლის მეზობლებს მათთან ქცევის ინსტრუქცია გადასცეს.

სასექსის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას გვერდით მცხოვრებლებს აკრძალული აქვთ, პირველები გამოელაპარაკონ სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს. ასევე არ შეიძლება მათი შინაური ცხოველების მოფერება, თხოვნა ბავშვის ჩვენების თაობაზე და რამის ჩადება მათ საფოსტო ყუთში.

აღსანიშნავია, რომ პრინც ჰარისა და მეგან მარკლის სახლის გვერდით დაახლოებით 400 ადამიანი ცხოვრობს. ბევრმა მათგანმა ინსტრუქციის მიღების შემდეგ უკმაყოფილება გამოხატა.

– ჩვენთვის არასოდეს მიუთითებიათ, თუ როგორ უნდა ვიქცეოდეთ დედოფლის თანდასწრებით. ჩვეულებრივ ის ხარობს, როდესაც მას ესალმებიან და მასთან ურთიერთობენ, – განაცხადა სამეფო ოჯახის ერთ-ერთმა მეზობელმა.

ბუკინჰემის სასახლეში განაცხადეს, რომ ჰერცოგისა და ჰერცოგინიასთვის ამ წესების შესახებ არაფერია ცნობილი, ვინაიდან ეს იდეა სასახლის ჩინოსანს ეკუთვნის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. წელიწადის დრო; 6. რისამე ნაირსახეობა; 7. ყაჩაღთა ჯგუფი; 10. ფულად-საკრედიტო დაწესებულება; 11. მტაცებელი ცხოველი; 13. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. ყვავილი; 16. გამის მეცხრე საფეხური; 17. ძვირფასი ქვა; 18. ნ.ბარათაშვილის ლექსი.

**შვეულად:** 1. სოფელი ლეჩხუმში; 2. სანელებელი; 3. სახალხო მასკარადი; 4. აფორიზმი; 5. ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ქოხი; 8. რუსული ავტომარკა; 9. ინგლისელი ბუნებისმეტყველი და მოგზაური, რომელმაც შექმნა მოძღვრება ბუნებრივი გადარჩევის გზით ორგანიზმთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ; 10. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 12. ექსპონატების გამოსაფენი დაფა; 13. დიდი ვენახი; 15. გრძელი შალაშინი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

